

ავტორი - ნიკა წულუკიძე

„მონუცი ჯამბაზები“ რუსთაველის თეატრის სცენაზე

„კვარტეტი“ - ასე ჰქვია რონალდ ჰარვუდის პიესას, რომლის დადგმაც რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გადაწყვიტა. რონალდ ჰარვუდის პიესები მსოფლიოს ასზე მეტ თეატრშია დადგმული, მისი სცენარის მიხედვით ცნობილმა პოლონელმა რეჟისორმა რომან პოლანსკიმ გადაიღო მხატვრული ფილმი “პიანისტი”, რომლისთვისაც დრამატურგმა 2003 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო ოსკარი დაიმსახურა. იგი ასევე ფლობს ოქროს გლობუსს პიესისათვის „კოსტიუმერი“.

რონალდ ჰარვუდის შემოქმედებაში ერთ-ერთი გამორჩეული პიესაა „კვარტეტი“, რომელიც 2005 წელს პეტერბურგის გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ნიკოლაი პინიგინმა. სპექტაკლში თამაშობდნენ რუსული თეატრის ისეთი დეკლამაციური არტისტები, როგორებიც არიან: კირილ ლავროვი, ოლეგ ბასილაშვილი, ალისა ფრეინდლიხი და ზინაიდა შარკო.

„კვარტეტში“ მოთხრობილი ამბავი ვითარდება ინგლისის პროვინციაში, ოპერის ყოფილი მსახიობები სიცოცხლის უკანასკნელ წლებს შემოქმედ-ხელოვანთა პანსიონში ატარებენ. ოთხი მსახიობი, რომლებიც მთელი ცხოვრება შემოქმედებით ზენიტში იყვნენ და ყოველ დღე მათ ათასობით ადამიანი უკრავდა ტაშს, მოულოდნელად გაუსაძლის მარტოობაში აღმოჩნდნენ, ისინი აღარავის სჭირდება, ისღა დარჩენიათ, წარსული ცხოვრების გასხენებით შეიქციონ თავი, ერთმანეთს გაუზიარონ უკვე რამოდენიმეჯერ მოყოლილი ისტორიები, მაგრამ არა შელამაზებული, არამედ რეალისტურად, პირდაპირ მთელი თავისი წინააღმდეგობებით, კონფლიქტებით, ათასგვარი ინტრიგებით,

რომელსაც ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგაც ხლართავდნენ. ეს არის წინარე ისტორიების თავისებური რეტროსპექტივა.

პიესის გადმოქართულება ეკუთვნის თამაზ გოდერძიშვილს და მანანა გეგეჭკორს, რომლებმაც რამდენადმე შეცვალეს ორიგინალური ვერსია და სიუჟეტი ქართული ხასიათისთვის უფრო ახლობელი გახადეს. რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ სპექტაკლში დააკავა ის მსახიობები, რომლებიც თავიანთი შინაგანი ბუნებითა და შემოქმედებითი აქტივობის თვალსაზრისით ახლოს არიან პერსონაჟებთან, უმეტეს მათგანს წლებია ფეხი არ დაუდგამს სცენაზე და ეს სპექტაკლი მათი ხელახალი ჩაბმა იყო თანამედროვე თეატრალურ ცხოვრებაში. ამ გარემოებიდან და მათი სამსახიობო ოსტატობიდან გამომდინარე, არტისტებისათვის ძალზე ახლობელი აღმოჩნდა საკუთარი პერსონაჟების ბუნება. სპექტაკლის დამდგმელი გოჩა კაპანაძე თავადაც მსახიობია და მას ძალიან კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს მსახიობისათვის ოთხმოცი წლის ასაკში ახალი როლის მიღება. ალბათ სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან მოქმედი ოთხი პერსონაჟი ცხრა პერსონაჟამდე გაეზარდა და ოპერის ოთხი მომღერლისათვის ოთხი დრამატიული მსახიობი და ერთი ბალერინა დაემატებინა. რეჟისორის ამ გადაწყვეტით სპექტაკლში დაკავდა რუსთაველის თეატრის თითქმის ყველა ასაკოვანი, მსახიობი. ამრიგად, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობთა ფოიეში გამოიკრა ახლი ბრძანება, რომელიც იუწყებოდა, რომ წარმოებაში ჩაეშვას რონალდ ჰარვუდის „კვარტეტი“ შემდეგი განაწილებით:

- 1) ელისო მედეა ჩახავა
- 2) თამარი ზინაიდა კვერენჩხილაძე
- 3) გრიგოლი გურამ საღარაძე
- 4) შალვა ჯემალ ლაღანიძე
- 5) კოტე კარლო საკანდელიძე
- 6) ქრისტეფორე კახი კავსაძე
- 7) ლოლა ზაზა ლებანიძე

8) ნინა მარინა ჯანაშია

9) ალექსანდრა მარინა კახიანი

ის, რაც გოჩა კაპანაძემ გააკეთა, გარკვეული პრეცედენტი უკვე ქონდა ქართულ თეატრის ისტორიაში. ანალოგიური შემთხვევა 1966 წელსაც მოხდა, როცა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გიგა ლორთქიფანიძემ და იური კაკულიამ ერთობლივად დადგეს ა. სუმბათაშვილ-იუჟინის პიესა „დალატი“ და ამ სპექტაკლში დააკავეს აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი და ქართული თეატრის სხვა ლეგენდარული მსახიობები. ისტორია თითქმის გამეორდა, მაგრამ ყოველი მსახიობი დიდი ინდივიდუალობაა და ბუნებრივია, რომ ისტორიის გამეორება მხოლოდ სიმბოლური ფაქტია.

მოქმედი პერსონაჟების რიცხვის გაზრდასთან ერთად პიესაში გარკვეული სცენებისა და მონოლოგების ჩამატება გახდა აუცილებელი, რათა უფრო ბუნებრივი და საერთო სიუჟეტისათვის ორგანული ყოფილიყვნენ ახალი გმირები. ამიტომ რეჟისორმა გადაწყვიტა სპექტაკლი გაემდიდრებინა დიდი ქართველი მსახიობების ცხოვრებიდან ამოკრეფილი სიუჟეტებით. პიესის უმთავრესი მონაკვეთი ასოციაციებითა და ალეგორიებითაა გამსჭვალული, საკმარისია ოდნავ მაინც იყო ჩახედული რუსთაველის თეატრის შიდა სამზარეულოში, რომ გაიხსენო წარსული ცხოვრების დრამატული მოვლენები. მაგრამ მაყურებელი მარტო თეატრის ისტორიის მცოდნენი ხომ არ იქნებიან, ამიტომ ყველაფერი ზოგადდება და ადამიანთა რთული ცხოვრების ისტორიად განიცდება. სცენაზე ამოიცნობთ კონკრეტულ პიროვნებებს და ბევრ რამეს შეიტყობთ მათ ადამიანურ ღირებულებებსა თუ ნაკლოვანებებზე.

კახი კავსაძეს მეორედ მოუწია ამ პიესაში მონაწილეობის მიღება. პირველად მან მოსკოვში, „ასტუჟენკაზე“ გალინა ვიშნევსკაიას მუსიკალურ ცენტრში განასახიერა მოხუცი მსახიობის

გმირი, თუმცაღა სრულიად სხვა პერსონაჟი. აღსანიშნავია, რომ ეს სპექტაკლი ქართველმა რეჟისორმა, წარმოშობით აფხაზმა რომა მარხულიამ დადგა და მასში დააკავა ისეთი არტისტები, როგორებიც არიან ბარბარა ბრილსკა, სვეტლანა კრიუჩკოვა, იგორ დიმიტრიევი და კახი კავსაძე. საოპერო არიებს კი გალინა ვიშნევსკაიას მუსიკალური ცენტრის სოლისტები ასრულებდნენ. ამრიგად, ბატონი კახისათვის გარკვეულწილად გასაგები იყო თუ როგორი შტრიხებით უნდა გაემდიდრებინა სკუთარი პერსონაჟის ხასიათი.

რეპეტიციების დაწყებისთანავე დაიწო რეჟისორმა ფიქრი იმაზე, თუ რა უნდა დაერქმია სპექტაკლისათვის. ძველი სახელწოდება „კვარტეტი“ არ გამოდგებოდა, რადგან სპექტაკლში უკვე ცხრა მსახიობი იყო დაკავებული. ასევე არსებობდა შემდეგი ვერსიები: „უკანასკნელი მოჰიკანები“, „გახუნებული ესკიზები“, „შესანიშნავი შვიდეული“, რადგან პიესის ერთ-ერთ ვარიანტში შვიდი მსახიობი იგულისხმებოდა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა „მოხუცი ჯამბაზები“ და მართლაც, ეს ვერსია შემოქმედებითი კოლექტივისათვის მისაღები და მრავალფუნქციური აღმოჩნდა. რეპეტიციების სამაგიდო პროცესი, რომელიც რუსთაველის თეატრის სამთავრობო დარბაზში მიმდინარეობდა შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს, პირველი ტექსტის წაკითხვა იყო, მეორე კი პერსონაჟების ხასიათის გაცნობა და ქვეტექსტუალური მოვლენების განვითარება. აქაური რეპეტიციები ჩვეულებრივისაგან რამდენადმე განსხვავებული იყო, რეჟისორი ცდილობდა მაქსიმალური თავისუფლება მიეცა მსახიობებისათვის და ნაკლებად შეეცვალა მათ მიერ მოძებნილი დეტალები. თუმცაღა მიმართულებასაც და ხასიათის ბუნებასაც გოჩა კაპანაძე თავად უთითებდა. თითოეული პერსონაჟის ხასიათი რეპეტიციების მსვლელობის დროს რამდენჯერმე შეიცვალა. მაგალითად, მარინა ჯანაშიას ნინა თავიდან ზუგდიდის თეატრის მსახიობი იყო და შიგადაშიგ მეგრულად ლაპარაკობდა, თუმცაღა მსახიობმა რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ სრულიად ახლებური გადაწყვეტა

მოუფიქრა საკუთარ გმირს და იგი საბჭოთა კავშირზე მეოცნებე, მკაცრი და პირქუში ქალბატონი გახდა, რომელიც თითქმის სულ რუსულად ლაპარაკობს და მისტირის იმ დროს, როდესაც გახდა „ლაურეატ ვსეს პრემიი“. აღსანიშნავია, რომ მსახიობს ასეთი მკვეთრად სახასიაო როლი აქამდე არ ქონდა ნათამაშები, ქალბატონმა მარინამ ამ როლში, სულ სხვა სამსახიობო მონაცემებით გაიბრწყინა და უდიდესი აღიარება მოიპოვა. იმედი მაქვს, რომ მას არაერთხელ ვიხილავ მსგავსი ამპლუის პერსონაჟით სცენაზე.

რეპეტიციების პროცესი იმდენად საინტერესოა, რომ ზოგჯერ გეუფლება განცდა თითქოს ზიხარ პარტერში და უყურებ კარგ სპექტაკლს, რომელიც კომედიასთან ერთად საოცრად სევდანარევიანა. თითქმის ყოველ მესამე რეპეტიციაზე მოდიოდნენ ტელევიზიები სხვადასხვა არხებიდან სიუჟეტების გასაკეთებლად. ოპერატორი ჩართავდა თუ არა კამერას რეპეტიციის ნაწყვეტის გადასაღებად მსახიობები იწყებდნენ ხმის ბოლო რეგისტრით საუბარს იმის დასამტკიცებლად, რომ ხმა ჯერ კიდევ შესაშურ ფორმაში გვაქვსო. ისეთი ჩქარი ნაბიჯებით დადიოდნენ და იმდენ ენერგიას ხარჯავდნენ, რომ კამერის გამორთვისთანავე რეპეტიციის გაგრძელებას გარკვეული დრო სჭირდებოდა, „მოხუცი ჯამბაზები“ ისვენებდნენ . სწორედ მსახიობების მსგავს თვისებებზე წერდა მიხეილ თუმანიშვილი მაშინ, როდესაც იგონებდა რეპეტიციის პროცესს აკაკი ვასაძესთან - პარტერში ჩემსა და ვასაძის გარდა არავინ იყო, ჩვეულებისამებრ ვუხსნიდი მისი პერსონაჟის ხასიათს და ისიც საკუთარ მოსაზრებებს მიზიარებდა, უცებ ამ კაცმა დაიწყო თამაში, არადა ჯერ სამაგიდო პროცესიც არ გვქონდა დაწყებული, მივიხედე უკან და დავინახე თუ როგორ გვიცქერდა რადისტი ზემოდანო. ასეთია ჭეშმარიტი მსახიობის ბუნება, მათ ერთი მაყურებლისთვისაც კი შეუძლიათ თამაში ისე, როგორც გადაჭედული პარტერისათვის.

ზოგადად მსახიობებისათვის მთავარი საზრუნავი და საფიქრალი არის ახალი როლი, რომლის წყალობაც მხოლოდ და მხოლოდ რეჟისორებს შეუძლიათ გაიღონ. რაც დრო გადის და მსახიობს ასაკი ემატება ეს წყალობაც ნელნელა იშვიათდება, ბოლოს კი საერთოდ ქრება. ამრიგად იმ მსახიობებისათვის, რომლებიც ხანში შესულ ხელოვანთა პანსიონში ცხოვრობენ და სხვადასხვა დროს თეატრიდან სწორედ რეჟისორების მიერ არიან განთავისუფლებულები ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს თუ რა არასასიამოვნო განწყობა დაეუფლებათ მათი სახელის გაგონებისას. ზაზა ლებანიძის პერსონაჟი ლოლა ამბობს - გამაგიჟა ამ ხალხმა, ყველა ერთი და იგივეს მეუბნება, პიროვნება არ ვარგა, მაგრამ დიდი რეჟისორია, ნამდვილი გენიოსიაო, არ შეიძლება ერთ დღეს შეცვალოს ეს პოზიცია და იყოს ცუდი რეჟისორი და კარგი ადამიანი, იქნებ მოეწონოს ეს მდგომარეობაო? მაგრამ რას ვიზამთ ალბათ ძნელად თუ მოიძებნება დიდი ხელოვანი, რომელიც ერთდროულად ამ ორივე თვისების მატარებელი იქნება.

სპექტაკლის რეპეტიციების დაწყებიდან ხუთი თვე იყო გასული, როდესაც მსახიობი კარლო საკანდელიძე შეუძლოდ გახდა და იძულებული შეიქნა როლზე უარი ეთქვა. ბატონი კარლო განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ახალ როლს და გმირის ხასიათის გამდიდრება დაიწყო, ის, როგორც წესი, ერთი საათით ადრე მოდიოდა რეპეტიციაზე და იწყებდა მუშაობას. მის ტექსტში არ იყო არცერთი ფრაზა და წინადადება, რომელიც მსახიობის ინიციატივით არ იყო გასწორებული. რეჟისორიც იმდენად იხიბლებოდა მსახიობის იმპროვიზაციით, რომ ყველაფერს ინიშნავდა. მის გამოცდილებასა და ოსტატობას განსხვავებულ ხიბლს სძენს იუმორი. რეჟისორი იძულებული გახდა ბატონი კარლოს ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი პიესიდან ამოეღო, რადგან მათი წარმოთქმა მხოლოდ კარლო საკანდელიძის

პერსონაჟის ხასიათს შეესაბამებოდა. ამ მხრივ სპექტაკლს ერთი დიდი ოსტატი გამოაკლდა.

ვისი იმედი შეიძლება ჰქონდეს რვა მოხუც ხელოვანს, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს მოხუც ხელოვანთა თავშესაფარში ატარებენ, ალბათ შეილები, შესაძლებელია, მაგრამ სპექტაკლის პირველსავე სცენაში მოდის წერილი ქალბატონი ლოლას (ზაზა ლებანიძე) სახელზე, რომელსაც ამერიკაში მცხოვრები შვილი უგზავნის „საყვარელო დედა! ჩვენზე ნუ იღარდებ, კარგად ვართ, სამწუხაროდ წელს ვერ ვახერხებთ შენს მონახულებას, მაგრამ მომავალ წელს აუცილებლად გინახულებთო“. სწორედ ამ სცენიდან ვლინდება ის პრობლემა რომელიც, მთელს სპექტაკლს ლაიტმოტივად გასდევს, რასაც მოხუცთა უფუნქციობა და მათდამი უყურადღებობა ჰქვია.

არტისტები კი ყველანაირად ცდილობენ როგორმე საქმე გამოიჩინონ და საკუთარი თავის თვითრეალიზება მოახდინონ. ამ კუთხით საუკეთესო გამოსავალს მიაგნო ბატონმა გრიგოლმა (გურამ საღარაძე) და თავისუფალი დრო მოგონებების წერით შეივსო. ქრისტეფორე (კახი კავსაძე) და ალექსანდრა (მარინა კახიანი) კი ბანქოს თამაშობენ და ერთმანეთს ეპრანჭებიან, ბატონი შალვასთვის (ჯემალ ღაღანიძე) კი მთავარი საზრუნავი ახალი პორნოგრაფიული ჟურნალების ყიდვა და მათი დათვალიერებაა, მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, მას მეუღლეც და ვაჟიშვილიც გარდაცვლილი ჰყავს, მაინც არ კარგავს იუმორის გრძნობას და ცდილობს დაძაბული სიტუაციების განმუხტვას. დადის ხელნაკეთი მიკროფონით, და პანსიონატის თითოეული ბინადარისაგან ინტერვიუებს იწერს სექსუალურ თემებზე. აი ასეთია მის მიერ შემუშავებული კითხვების ნუსხა:

- 1) ვინ იყო თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ძლიერი მამაკაცი და რამდენჯერ?
- 2) პირველად რამდენი წლის ასაკში დაამყარეთ სექსუალური კავშირი?

3) ახლაც ხართ თუ არა სექსუალურ მზადყოფნაში? და სხვა .

..

ასევე სექსუალური თემებით არის გატაცებული, მაგრამ შედარებით იოლ ფორმებში ქალბატონი ელისო (მედია ჩახავა), მიუხედავად მისი ასაკისა, სულ იპრანჭება და ცდილობს, რაც შეიძლება კარგად გამოიყურებოდეს, რათა მოაწონოს თავი პანსიონში მცხოვრებ მამაკაცებს. თუმცა ზოგიერთ მომენტებში მას გონება ებინდება და ჰგონია რომ ახალი ჩამოსულია ბაღდადიდან სადაც ლამაზ შროშანებს და გემრიელ მარწყვს კრეფდა. ასევე საქმე გამოიჩინა ქალბატონმა ლოლამ, რომელიც კოლეგებს ვერდის საიუბილეო კონცერტისათვის გამოსასვლელ კოსტუმებს უკერავს. მას სულ ჯიბით დააქვს ვალერიანის წვეთები და სხვადასხვა წამალი, რათა შეუძლოდ გამხდარ მსახიობებს დააღვეინოს. იგი საოცრად მზრუნველია. პირად პრობლემებს გვერდით დებს, რათა სხვათა „საქმეები“ მოაგვაროს.

აი, ასე ატარებენ დროს მოხუცები და მარტოობით ტკბებიან, ტკბებიან ისე, როგორც ეს ორი სიტყვა შეესაბამება ერთმანეთს, მარტოობით ტკბობა, ეს ხომ იგივეა, როგორიც კარგი ტანჯვა შეიძლება იყოს. ანუ ერთფეროვნულად ატარებენ მარტოობით გაუარესებულ ყოფას. გრიმის სუნი ენატრებათ, სცენის მტვერიც. . . ვარსკვლავური ყოფა კი წარსულში დარჩა, ახლა ყველასგან დავიწყებულებს, ერთმანეთიდა დარჩათ იმედათ. თუმცა ეს სულაც არ უშლით ხელს, მწარე სიმართლით სავსე სიტყვები არ დაიშურონ კოლეგებისადმი. ასე მაგალითად „შენ არასდროს გაგაჩნდა მოქალაქეობრივი პოზიცია“ , „ შენ არ იყავი, ხელიდან ხელში რომ გადადიოდი გარდამავალი დროშასავით ცეკას კაბინეტებში“ და მრავალი სხვა. . . ყოველ ასეთ კინკლაობას მოხუცებისათვის დამახასიათებელი გულჩვილობა და ისევ მარტოობის საშინელი შიში მოსდევს, ამიტომ პატარა ბავშვებივით გაბუტულები, ისევ პატარებივით რიგდებიან და მაინც

მათი მთავარი დევიზია თავი არავის შევაცოდოთ! ! ! თუ რა თქმა უნდა ამ ყოფაში საკუთარი თავი თავადვე არ გეცოდება. ირგვლივ კი ყველაფერი ისეა რომ საკუთარი თავი თავადვე უნდა გეცოდებოდეს.

თავიდან მოხუცებულთა თავშესაფარში ყველაფერი რიგზეა, მათი ცხოვრება მდორე დინებით მიედინება მაგრამ მოულოდნელად გრიგოლს (გ. საღარაძე) და შალვას (ჯ. დაღანიძე) ატყობინებს ქალბატონი ელისო (მ. ჩახავა) რომ პანსიონში მოყავთ ახალი ბინადარი თამარ ახვლედიანი (ზ. კვერენჩხილაძე) სწორედ ის თამარი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ გრიგოლოს ცოლი იყო და ყოველგვარი მიზეზის გარეშე მიატოვა მეუღლე. აი ამ სცენიდან იძაბება სიტუაცია პანსიონში და იწყება ადრინდელი ფლირტაობა, ეჭვიანობა, ბუტიაობა და ნელნელა ცოცხლდება თავშესაფარი. თამარის პანსიონში ცხოვრების წინააღმდეგია გრიგოლი. მას არ სურს იმ ტკივილის გახსენება რომელიც მეუღლისგან განშორების დროს მიიღო და კითხულობს მონოლოგს რომელშიც თამართან ცხოვრების წლებს იხსენებს. მონოლოგი მსახიობ გურამ საღარაძეს საოცრად სევდიანად მიჰყავს, ახსნებს თუ არა სახელს თამარს თვალები უცრემლიანდება და სათუთი ხდება. რაც უფრო ღანძღავს მას მით უფრო ნათელი ხდება, თუ რაოდენი სითბო და სიყვარული აკავშირებს გრიგოლს თავის ერთადერთი სიყვარულის მიმართ, რომლისადმი გრძნობა განუღებელი მაგივრად ერთიორად უმძაფრდება. ამ მონოლოგით გურამ საღარაძემ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რაოდენ დიდი პროფესიონალია და როგორი დიდი მასშტაბების მქონე მსახიობი. სცენაზე ნისლში მოცურავს უზარმაზარი თეთრი კიბე, რომლის კენწეროზეც თამარი დგას და ნელ-ნელა ამ კიბიდან ჩამოდის პანსიონში. ეს მიზანსცენა რეჟისორის და მხატვრის ანა ნინუას ერთობლივი გადაწყვეტაა. ამ სცენაში ვხედავთ ქალს

რომელიც ცხოვრების მწვერვალთან ეშვება უფსკრულში და ხვდება იმ მოხუცთა თავშესაფარში სადაც მოხვედრის ყველაზე ძალიან ეშინოდა. კიბესაც ხომ სიმბოლური დატვირთვა აკისრია. რადგან ეს პატარა სცენა ამ ქალის ცხოვრების „კარდიოგრამის“ ამსახველია. ელისო და შალვა ცდილობენ ექს მეუღლეთა შერიგებას მაგრამ ამოდ, თამარიც აღიარებს დანაშაულს მაგრამ გრიგოლი ბავშვივით კრიჭაშეკრულია. ასევე შიგადაშიგ კინკლაობენ ელისო და თამარი. ისინი ცდილობენ თავიანთი უპირატესობა აშკარა გახადონ. სანამ თამარი შემოდის ელისო ამბობს- “იგი ჩემზე ბევრად უფროსია და საშინლად გამოიყურებაო” შემოვა თუ არა „ ბიჭებს” ეუბნება ბიჭებო ხომ გითხარით თამარი ისეთი კარგად გამოიყურება, რომ თექვსმეტი წლის გოგოს გავსო. მოხუცებში კვლავ იჩინა თავი კონკურენციის გრძნობამ. ამას ელისოს რეპლიკაც მოწმობს როდესაც გაიგებს, მისი ერთ-ერთი კოლეგა დიდუბის პანთეონში დაკრძალესო, ამბობს: „გაგიჟდება კაცი ყველაფერი ჩაწყობითაა ამ ქვეყანაზე, თორემ კანკიას ქალს პანთეონში რა უნდაო”.

ერთ დღესაც პანსიონის დირექტორი, რომელსაც ზედმეტსახელად ბენიტო მუსოლინს ეძახიან, მოითხოვს რომ ათ ოქტომბერს მოხუც ხელოვანთა თავშესაფარში გაიმართება უდიდესი კომპოზიტორის, ჯუზეპე ვერდისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც გრიგოლმა, თამარმა, ელისომ და შალვამ უნდა იმდერონ კვარტეტი „რიგოლეტოდან”. ეს ფაქტი ყველას გაახარებს. მათ სიცოცხლეს კვლავ აზრი მიეცა, ისევ გახდნენ საჭირონი, კვლავ დასჭირდათ მათი სიმღერა, მაგრამ ერთადერთი სცენაზე გამოსვლის წინააღმდეგი თამარია. იგი შეურაცყოფილია და არ დაუშვებს, სიბერეში ვინმეს სასაცილო გახდეს. გრიგოლი კი აღტაცებით აფიშაზე დასაწერ ტექსტს ადგენს: „ ათ ოქტომბერს გაიმართება კონცერტი, მონაწილეობენ დაფეხვილი მეგა ვარსკვლავები:

ტენორი -ცნობილი სექსუალური მანიაკი, ბანი-სახელგანთქმული იმპოტენტი, მეცო-სოპრანო- გამოჩენილი მეძავი, სოპრანო უცნობილესი სუპერ კახკა. . . ასრულებენ „რიგოლეტოდან“ კვარტეტს. დასწრება უფასოა, კონცერტის შემდეგ გაიმართება სახალხო პანაშვიდი მუხადგვერდის სასაფლაოზე, მათივე მონაწილეობით. . . “. უფრო მწარედ დაცინვა საკუთარი თავისა შეუძლებელია! კვარტეტს კი საფრთხე ემუქრება. თამარი კატეგორიულად წინააღმდეგია იმდეროს პანსიონში მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენების აზრით, წელიწადში ერთხელ, სცენაზე გამოსვლა და სიმღერა მათთვისავე არის აუცილებელი „ისევ განმეორდება გრიმი, სცენა, ოვაციები ამით დავამტკიცებთ რომ ვარსებობთ.“

გრიგოლი ცდილობს როგორმე გადმოიბიროს თამარი „წლებმა ჩაიქროლა და სიბერემ ყველას აქ მოგვიყარა თავი. ჩვენი ხმები ტკბილ მოგონებად დარჩა. იქნებ ვცადოთ და ნაწილობრივ მაინც გავაცოცხლოთ ჩვენი წარსული. მართალია ეს ჩვენი აჩრდილები იქნება, მაგრამ მზადების პროცესი ხომ ძველებურად აღგვაფრთოვანებს. თეატრალურ სამოსს ჩავიცვამთ თუ არა თავი დაგვაფიწყდება, ვიგრძნობთ რომ ნერვები ჯერ კიდევ არ გაგვხმობია. ვიგრძნობთ პროექტორების სხივთა სითბოს და ბოლოს გავიხსენებთ თუ როგორები ვიყავით ერთ დროს. ეს ხომ საუკეთესო მკურნალობაა. კონცერტი დაგვეხმარება კეთილი გულით მივიღოთ აწმყო და რაც მთავარია მომავალი.“ თამარის გადარწმუნებას შალვაც ცდილობს და იხსენებს მისი ცხოვრების ურთულეს წუთებს. „ . . . აიდაზე გამაგებინეს ჩემი ბიჭის დაღუპვა. სპექტაკლი ვერ მოხსნეს. გავედი სცენაზე და ყველაფერი დამავიწყდა. საშინელი პროფესია გვაქვს. მეზიზღებოდა მოახლოვებული სიბერე. მეზიზღებოდა ყოველი მომატებული დღე. ჯერ წინამდებარე ჯირკვალი პროსტატა გაწუხებს და ღამეში სამჯერ გარბენინებს, მერე კბილები

დაგცვივა და პროტეზი გივარდება პირიდან, მერე ყურში აღარ გესმის, თვალები გიცრემლიანდება და კატარაქტა გეწყება, ბოლოს ჯერ სხვისი სახელი გავიწყდება მალე საკუთარი. თამბაქოს მოწევას შეეშვიო, ქოლესტერინი გააკონტროლეო, არტერიული წნევა მოიგვარეო ნუ სვამო, ამ რეჟიმს თუ დაიცავ ან გიშველის ან არაო.” უდიდესი ოსტატობით აქვს ბატონ ჯემალს ეს მონოლოგი გაკეთებული აღსანიშნავია მის მიერ გაკეთებული ოქროს შუალედი რომელიც ტრაგიკულ და კომედიურ სცენებს შორისაა დაცული, ეს მხოლოდ დიდ არტისტებს ხელეწიფებათ.

ბევრი ხვეწნის შემდეგ თამარმა გაუმხილა მიზეზი კოლეგებს და უთხრა რომ მშობიარობის შემდეგ ხმა დაკარგა, თამარის ასეთ ტრაგედიას, რომ გაიგებენ მოხუცები, უთანაგრძნობენ, ცდილობენ დაამშვიდონ და გამოსავალი მოძებნონ, რათა თამარმაც მიიღოს მონაწილეობა ვერდისადმი მიძღვნილ გალა კონზერტზე. უეცრად ოთხივეს ერთიდაიგივე აზრი გაუელვებს თავში და გადაწყვეტენ კონცერტზე ფონოგრამით, მათთავე ძველი ფონოგრამით იმდერონ. არაფერია არტიკულაცია, სუნთქვა, დინამიკა ერთმანეთს დაამშვიდებენ და იწყებენ მზადებას კონცერტისათვის.

მსახიობისთვის ხომ ყველაზე დიდი ტრაგედია შემოქმედებითი პაუზაა ხოლო ყველაზე დიდი სიხარული ახალი როლოს მიღება. ალბათ ამიტომაც რომ მოხუცი „ჯამბაზები“ რეპეტიციაზე მოსვლისას ძალიან ცუდად გრძნობენ თავს, ზოგს წნევა აწუხებს, ზოგს ენერგია აქვს გამოლეული მაგრამ საკმარისია რეჟისორის მიერ წარმოთქმული ერთი სიტყვა „აბა ავედით“, რომ მაშინვე ავიწყდებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემები და ახალგაზრდული შემართებით იწყებენ რეპეტიციას. ისინი სცნაზე ისეთ მოზღვავებულ ენერგიას

გრძნობენ, რომ ხშირ შემთხვევაში მათ ბოლომდე რეალიზებასაც ვერ ახერხებენ

მოხუცი ქრისტეფორესათვის (კ. კავსაძე) კი ერთადერთ საზრუნავს მისი გარდაცვლილი მეუღლე წარმოადგენს, მართალია, იგი სულ ცდილობს, რაც შეიძლება მხიარული იყოს და სხვებიც კარგ გუნებაზე დააყენოს მაგრამ მაინც იგრძნობა მის ხასიათში უზომო ნოსტალგია და მოთმინებით ლოდინი. ლოდინი იმ ბედნიერი წამისა, როდესაც შეხვდება მის გარდაცვლილ მეუღლეს. თუმცა ქრისტეფორე ამ ქვეყნიდანაც ესიყვარულება თავის პირველ სიყვარულს

როდესაც კახი კავსაძე მონოლოგს კითხულობს იქმნება შთაბეჭდილება რომ ის, უშუალოდ ესაუბრება გარდაცვლილ მეუღლეს ამოტომ რეჟისორმა თეატრალური განათების დახმარებით უფრო დამაჯერებელი გახადა მისი არსებობა სცენაზე. მსახიობი სხივს ესაუბრება რომელიც ტოვებს ასოციაციას, რომ ეს სხივი ზეციდანაა გადმოსული. ბატონი კახი ასევე მღერის სპექტაკლში. მისი შესრულების ვოკალური დონე ნებისმერ საოპერო მომღერალს შეშურდება აბსოლუტური სიზუსტით ასრულებს იგი ყოველ ნიუანსს.

დადგა ათი ოქტომბერი. სადაცაა კონცერტი დაიწყება. დრამის მსახიობებს სცენაზე შემოაქვთ ძველი სკივრი, სადაც სპექტაკლების კოსტიუმებია შენახული. სკივრში ასევე ზის მარინა კახიანის გმირი ალექსანდრა, რომელიც სკივრიდან ამოსვლისთანავე ცეკვავს. მარინა კახიანი ყოფილი ბალერინაა და იგი არაჩვეულებრივად ასრულებს ამ ნომერს. ყოველივე ეს სპექტაკლს კიდევ უფრო მხიარულსა და სევდიანს ხდის. მსახიობმა არაჩვეულებრივად მოირგო მოხუცი ბალერინას ტრაგი-კომიკური გმირი და ტოლი არ დაუდო უფროს თაობის მსახიობებს.

ჩაივლის კონცერტი, შესანიშნავად იმღერებენ ოპერის მსახიობები და დიდ შთაბეჭდილებას მოახდენენ მაყურებელზე.

მართალია ფონოგრაფით, მაგრამ მაინც „დაგლიჯეს“!!! დამთავრდა კონცერტი, ჯამბაზებს კი აღარ აქვთ მიზანი, მათი ცხოვრება კვლავ უინტერესო გახდა. დაიწყო ისევ ერთფეროვნული ცხოვრება და მეზუფეტე აშხენას აქოთებული ბორშის ჭამა, სწორედ ამიტომ ამბობს ელისო „ხვალიდან რა უნდა გავაკეთოთ“. . .

არ შეიძლება არ ავლნიშნო სპექტაკლის ტექნიკური რეჟისორი გრიგოლ თათეიშვილი, რომლის თავდაუზოგავი შრომის დამსახურებაც არის ჯამბაზების გამარჯვება. ასევე საოცარი დამოკიდებულებაა თეატრის ტექნიკური პერსონალის მიერ ამ სპექტაკლის მიმართ, ყველა ცდილობს რეპეტიციებზე შემოსვლას, ასეთი დიდი მსახიობების ერთად ნახვას სცენაზე, სამკერვალოდან ერთი თერძის მაგივრად ხუთნი ამოდიან ზომების ასაღებად, დამლაგებლები რიგრიგობით მოდიან დასალაგებლად, რადგან ყველას უნდა მოჰკრას თვალი რეპეტიციების მიმდინარე პროცესს, სცენის მუშები ერთმანეთს ხუმრობით ეძახიან: „წამოდი ბებერი მეზურნეების, რეპეტიციაზე მივდივარო.“, ასევე არიან გრიმიორები, ჩამცმელები, სცენის მემანქანეები, გამნათებლები, რადისტები და დაცვის ბიჭებიც კი. სწორედ ამიტომ იყო რომ ყველა რეპეტიცია გადაჭედილი პარტერის თანხლებით ტარდებოდა.

დადგა ივნისიც, დაიწყო გენერალური რეპეტიციები, მხატვარ ანა ნინუას მიერ შეიკარა არაჩვეულებრივი კოსტუმები. დრამის მსახიობებს კონცერტის დღეს პიეროს კოსტუმები აცვიათ, „ოპერნიკები“ კი ფრაკებში და საღამოს კაბებში არიან გამოწყობილები.

რვა თვის დაუღალავი ძიების შემდეგ 9 ივნისს გაიმართა საჩვენებელი სპექტაკლი, სადაც მოწვეული იყო თეატრალური საზოგადოება, ანუ მოეწყო სპექტაკლის “გასინჯვა”, დარბაზი გადაჭედილია, რაც იშვიათია ჩაბარების დროს. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები ხომ ყველგან არიან, გამნათებლის

ჯიხურში, იატაკზე, გასასვლელებში, ნახავდით ყველა თაობის კრიტიკოსებს. რაღაც სიმბოლური იყო 9 ივნისის ფაქტი. ესეც ხომ ნოსტალგიური, ძველი ტრადიციის გახსენებაა, როცა არც ერთ თეატრში ისე არ შედგებოდა პრემიერა, თუ წინა დღეებში წარმოდგენის საჯარო “გასინჯვა” არ ჩატარდებოდა. საზოგადოებრივი და პროფესიული აზრის გათვალისწინება ხომ ხელს უწყობს თეატრის შემოქმედებით წარმატებას. კარგი იქნება, თუ ეს მივიწყებული ტრადიცია გაგრძელდება.

გაისმა მესამე ზარი. ეს იმის მაუწყებელია, რომ სპექტაკლი იწყება. ხმა აფრთხილებს მაყურებელს რომ გამორთონ მობილური ტელეფონები. სინათლე ნელ-ნელა ქვრება, სცენა ნათდება ძალიან მწირედ. აქა-იქ ძველი ავეჯი დგას, ყველაფერს თეთრი დიდი ნაჭრები აქვს გადაფარებული, რაც მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ მოქმედება ხდება სახელმწიფოს კუთვნილ უსულ-გულო სივრცეში. ეს სივრცე კი სიცივეს ასხივებს. აქ მცხოვრები ადამიანები ვერ ეღირსებიან ადამიანურ სიბოძს, გარემო უცხოა მათთვის და ისინიც უცხონი არიან იქაურობისათვის. სცენის მარჯვენა კუთხეში მოკუნტული ადამიანი წევს დივანზე. ძნელი გასარჩევია, მართლა ადამიანია, თუ უბრალოდ უსარგებლო ტანსაცმლის გროვა. სცენის სიღრმეში ჯამბაზის კოსტუმში გამოწყობილი, სიბერისაგან დაუძღურებული პერსონა ჩნდება და აკანკალებული ფეხებით წინ, ავანსცენისაკენ მოიწევს თან ლოლას ეძებს. აი უეცრად ფართლელის გროვა შეირხევა და პიროვნულ ტკივილში ჩაძირული, ადამიანი ვედრებით მიმართავს ჯამბაზს (კახი კავსაძეს) რომ თავი დაანებოს. ლოლას (ზაზა ლებანიძეს) ლაიტმოტივია თვით ამ გმირის სიტყვები: “მარტოობით დავტკბები”. მარტოსულია ლოლა, იგი გარიყა და ცხოვრების მიღმა დატოვა თეატრმა, არც შვილს სჭირდება. ის ზედმეტი ადამიანია. ამ მარტოსულობას ატარებს ზაზა ლებანიძის გმირი. მართალია მის პერსონაჟს იუმორის

გრძნობაც გააჩნია და სხვებთან ერთადაც ერთობა, მაგრამ მიუხედავად ბედის უკუღმართობისა მისი იუმორი მსუბუქია, არ არის შეურაცხყოფელი, სარკაზმში არასდროს გადადის. თუმცა ცნობილია, რომ ცხოვრებისაგან დაწიხლული ადამიანები ხშირად სარკასტულები ხდებიან. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ზაზა ლებანიძის გმირისათვის მთავარი ტკივილი, არა შვილის მიერ მისი უარყოფაა, არამედ ის, რომ სცენის მიღმა დატოვეს! როდემო მოაშორეს მისი სიცოცხლის მთავარ აზრს, სიცოცხლის წყაროს. ერთადერთი არსება ვისკენაც მისი გესლია მიმართული ეს რეჟისორია.

ზაზა ლებანიძის არც ერთი რეპლიკა, არც ერთი სიტყვა ძლიერი ქვეტექსტის გარეშე არ ეღერს. იშვიათია მსახიობი, რომელიც ასეთი დიდ ოსტატობით ახერხებდეს სიტყვების მიღმა არსებულ განცდათა და ფიქრთა ასე ზედმიწევნით მაყურებელამდე მიტანას. ეს ქვეტექსტები უფრო ძლიერია, უფრო ხელშესახები, თვალით და ყურით მძაფრად აღსაქმელი, ვიდრე ის, რასაც ზაზა ლებანიძის გმირი ხმამაღლა წარმოთქვამს.

მისი მონოლოგი მისი სულის სიღრმიდან წამოსული სცენისადმი მიმართული სიტყვები მაყურებლის გონებაში ისარივით ესობა. აქ ზაზა ლებანიძე მაღალ ტრაგიზმამდე აღის. მისი სიმღერაც ხომ, მარტოსულობის, უიმედობის, ზედმეტი ადამიანების ჰიმნია, რომელსაც, ზაზა ლებანიძე (ლოლა) მთელ სამყაროს უგზავნის... მერე და რა ოსტატობით. მისი ხმა საზოგადოებამ მარო თარხნიშვილს ხმას შეადარა. პირველი სცენა მთლიანად ლოლასა და ქრისტეფორეს მონოლოგით ვითარდება. ქრისტეფორე მოხუცი ჯამბაზი (კახი კავსაძე), ზოგჯერ მთლად უჯილაგო, ზოგჯერ ათასი ახალგაზრდის ენერგიით დამუხტული, კეთილი იუმორის შარავანდვით გარემოცული, გადამდები. კახი კავსაძე ჭკუშმარტი არტისტია ტერფიდან თხემამდე. როგორ შეუძლია

ამ მსახიობს ერთდროულდ საწყალობელიც იყოს და ამაღებულიც, სასაცილოც და საცოდავიც, ტრაგიკულიც და კომიკურიც და ეს ყველაფერი ერთ სახეში, ერთი პერსონაჟის ხასიათში. მოგეხსენებათ სპექტაკლის წარმატება და რიტმის გრძნობა მეტწილად პირველ სცენაზეა დამოკიდებული. ამ მხრივ გამოცდა ამ ორმა დიდებულმა მსახიობმა წარმატებით ჩააბარა. ასევე წარმატებით დასრულდა მთელი წარმოდგენა. სპექტაკლმა თეატრალური საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. სცენაზე იყო ქართული სამსახიობო ოსტატობის ზეიმი, მსახიობებმა უკანასკნელი ძალებიც კი მოიკრიბეს და სწორედ ამიტომ სადამო იმდენად სევდიანი იყო, რომ გედის სიმღერას მოგაგონებდა. სამსაათნახევრის განმავლობაში მაყურებელი და მსახიობები ერთი სუნთქვით სუნთქავდნენ. პარტერში იჯდა ყველა თაობის მაყურებელი, ისინი ერთნაირად განიცდიდნენ სცენაზე მიმდინარე ზეიმს, რომლის მონაწილე თითოეული მათგანი იყო. სწორედ იმ ზეიმს. რომლის ხილვასაც თეატრში კარგა ხანია მოკლებულია ქართველი საზოგადოება. ყველა მსახიობს მაყურებელი ტაშით ხვდებოდა და ტაშით აცილებდა. უხაროდათ მონატრებული მსახიობების კიდევ ერთხელ ხილვა სცენაზე. მიუხედავად სპექტაკლის ხანგრძლივობისა, მაყურებელს ერთი წუთით არ უგვრძენია დაღლა, რასაც ვერ ვიტყვით მსახიობებზე, მათი ასაკისათვის ცოტა ძნელი აღმოჩნდა ამხელა სპექტაკლის „გადაგორება“, მაგრამ სიძნელეს არ ეპყებოდნენ და ახალგაზრდული შემართებით თამაშობდნენ, რამაც კიდევ უფრო გააკვირვა მაყურებელი. არ შეიძლება არ ავღნიშნო მედია ჩახავს ესპანური, რომელსაც წითელი მარათი ასრულებს. იგი ისე მაღლა წევს ფეხს ცეკვისას „გრანდ პა“, რომ მისი გამეორება ახალგაზრდა მსახიობებს გაუჭირდებათ. საერთოდ მედია ჩახავა იმ რანგის მსახიობია როგორებიც დღეს თითქმის აღარ მოღვაწიობენ ქართულ თეატრში.

პირველი მოქმედება მთავრდება ქორეოგრაფ კოტე ფურცელაძის მიერ დადგმული ტანგოთი, რომელსაც „ჯამბაზები“ ლუი ამსტრონგის მუსიკის ფონზე ასრულებენ, მსახიობები წყვილებად არიან დაყოფილები და ერთმანეთის მონაცვლეობით ცეკვავენ. ასევე კახი კავსაძე და მარინა კახიანი მონოლოგების დამთავრების შემდეგ შეუდარებლად ცეკვავენ. საერთო ჯამში სპექტაკლი იმ ვულკანს გაავს რომელიც ბოლო ამოფრქვევამდე ახალ-ახალი შარავანდედით გვაოცებს და გსურს, რომ ეს შარავანდედი არასოდეს არ დასრულდეს, რადგან იმდენად დიდია მისგან მიღებული სიამოვნება რომ განშორება გიჭირს საოცარი იყო მოხუცი ჯამბაზების რეპეტიციების თითოეული წამი. მსახიობები რეჟისორთან ზოგჯერ ძალიან ცხარე პოლემიკაში ერთვებოდნენ. არწმუნებდნენ თავიანთ სიმართლეში. იყო რეპეტიციებიდან გაქცევებიც, ხმამაღალი საუბარიც, კამათიც შერიგებაც, შემდეგ ყველაფრის თავიდან დაწყება. ყოველივე ამის გარეშე ხომ კარგი სპექტაკლი ვერ დაიდგმება. . . მითუმეტეს რომ სცენაზე ერთდროულად ამდენი გენიოსი დგას.

ნიკა წულუკიძე

უფლის ნებაა ყველაფერი

დაილოცოს ის დღე, როდესაც გოჩა კაპანაძემ იკისრა ურთულესი პროცესის წარმართვა და მაცოცხლებელი ძალა ჩაბერა ჩვენს უკვე თითქმის მიღეულ ოცნებას - ერთხელ კიდევ ვმდგარიყავით სცენაზე, ჩვენს მშობლიურ სცენაზე (ჩვენ ხომ ყველამ აქ ავიდგით ფეხი...) და წელგამართულებს გვეთქვა ჩვენი ძვირფასი მაყურებლისთვის - „ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ!“

ულრმესი, უდიდესი, აუწონავი მადლობა გოჩას, ჩვენს ნიჭიერ რეჟისორს, საოცარი ადლოსა და მოთმინებისათვის, ქარაფშუტობისა და ფორიაქისათვის, სიბრძნისათვის, უსაზღვრო ენერჯისათვის, რწმენისათვის, ერთგულებისათვის, თვალთმაქცობისა და... დიდი სიყვარულისთვის!...

ნეტა ეს „ცცცც“-ები არ იცოდეს სცენაზე და ამდენი ბოლისგამოშვება...

მედია ჩახავა

შედგე მიღწეულია

ძნელი და რთული გზა გავიარეთ, როცა ანალიზსს აკეთებ თუ რაში იყო სირთულე ხვდები, რომ ეს ჩვენი პროფესიაა. მუშაობის პროცესში მთელი ჩვენი ჯგუფი იყო ჩართული, რა თქმა უნდა გოჩას ხელმძღვანელობით. ბევრი კმაყოფილების გრძნობაც იყო და საკმაოდ ბევრი წყენაც. სხვანაირად ალბათ არც შეიძლება. გოჩა ნიჭიერი და ამავე დროს ჯიუტი პიროვნება გახლავთ, ამ შემთხვევაში მისმა სიჯიუტემ რეზულტატი გამოიღო და ფაქტი სახეზეა, ჩვენ გავიმარჯვეთ, რაც შეეხება სპექტაკლს შეიძლება ცოტა კომპაქტური ყოფილიყო, ეს ჩემი აზრია და არა მარტო ჩემი... მოხარული ვარ, რომ საზოგადოებაში დიდი გამოსმაურება ჰპოვა ჩვენმა წარმოდგენამ. მე ვფიქრობ რომ ჩვენ არ უნდა მივეცეთ განცხრომას და ჩვეული პროფესიონალიზმით უნდა მივუდგეთ ყოველ სპექტაკლს.

მადლობელი ვარ ჩემი მეგობრების - მსახიობების, გოჩა კაპანაძის და იმ ადამიანების, რომლებიც მთელი მუშაობის მანძილზე ჩვენს გვერდით იდგნენ: მანანა გეგეჭკორი, ნიკა წულიკიძე, ანა ნინუა, კოტე ფურცელაძე და სხვები მთელი ჩვენი ჯგუფი. დმერთმა ყველას ხელი მოგვიმართოს.

გურამ საღარაძე

მაყურებელი დიხანს ელოდა თავის სანუკვარ სპექტაკლს ერთობ მაცდუნებელი სათაურით “მოხუცი ჯამბაზები”, რომელიც ჯერ კიდევ ანონსის გამოცხადებამდე არსებობდა მაყურებლის წარმოსახვაში სხვადასხვა ვარიაციებისა და ვარიანტების სახით, და სადაც იგულისხმებოდა მოქმედ გმირთა მრავალი სახალისო ინტემედიები თუ აღვირ-ახსნილი საარაკო ფანდები. მაყურებლის ცხოველი ინტერესი გამოწვეული იყო დროის იმ დიდი შუალედით, რომელიც მიზეზთა-მიზეზ გაჩნდა ზოგიერთ მაყურებელსა და მსახიობებს შორის, იმ მსახიობებს შორის, რომელთაც დღესაც დიადემასავით ადგათ თავზე გარდასულ დღეთა ნეტარი მოგონებები.

სპექტაკლი შედგა.

მაყურებელმა გულმხურვალედ აიტაცა იგი და შეიყვარა... ეს კი ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორის სანაქებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლზე მუშაობის პერიოდში, მიუხედავად მთელი რიგი პერიპეტეიებისა, ხშირად როგორც ოჯახშიც ხდება ხოლმე, თეატრი კი, მოგესხენებათ ერთი დიდი შემოქმედებითი ოჯახია და ჩვენი რეპეტიციებიც რა თქმა უნდა მსგავსი შემთხვევებისგან დაზღვეული არ იქნებოდა, დრო და დრო თავს იჩენდა წყენა, გულის ტკივილი, ცრემლი (აი ეს კი მხოლოდ მე მეხება), დაუთმენლობა, აზრთა შეხლა-შემოხლა და ბევრი სხვა რამ, მაგრამ აქაც ჩვენი რეჟისორის კაცთმოყვარეობამ იმარჯვა, ყველაფერი გვერდზე გადადო და აღივსო მოთმინებითა თვისითა. აი სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში რეჟისორის შორსმჭვრეტელობამ თუ მისმა პროფესიულმა ალლომ ჩააგონა, რომ სპექტაკლს სჭირდებოდა ის ერთადერთი მთავარი და არსებითი შტრიხი, რომელიც მთლიანად გახსნიდა სულჩაფერფლილ მიუსაფართა იმ გაუსაძლის ტკივილს ასე რომ გაწირა შვილმა და ძირმა მისმა... და რეჟისორმა მოიფიქრა კიდევ, ის პატარ-პატარა მონოლოგები ოქროს ჭანჭიკებით რომ სჭირდებოდა სპექტაკლს, მისი ძირითადი კვანძის გახსნასა და დაფიქსირებაში. ამ მონოლოგებით კი ყოველ პერსონაჟს გულის საოხად მიეცა საკუთარი ძალისა და გრძნობის გამოვლენის საშუალება. ეს მონოლოგები კი იყო აღსარება უფლისა და მრევლის წინაშე!

ამ სპექტაკლმა ყველა დაზაფრა, დააფიქრა, ჩაახედა საკუთარ სულსა და გულში. თვალი დაუნამა და დაწვზე კურცხალი ჩამოუგორა, სწორედ ეს თბილი კურცხალი მიანიშნებდა მაყურებლის აღფრთოვანებას. ყოველივე ამან გააერთიანა სცენა და დარბაზი, ამ გრძნობამ დაიპყრო დიდი თუ პატარა, უხაროდათ, უყვარდათ და ნათელი ეფინებოდათ მიუსაფართა ამ ცოდვილ შვილთ. ეს აღსარების ტოლფასი იყო, მონანიება, განწმენდა, გმადლობთ შენ უფალო!

მომაჯადოებრივმა ჯამბაზებმა კი კიდევ ერთხელ გაილაღეს და მაყურებელს თავისი სათქმელი და საფიქრალი დაუტოვეს! რატომ? რისთვის? მიუსაფართა ბინადარნი კი ყოველდღიური არსებობის ჯვარზე გაკრულნი, სინაზე ჩამომჯდარი ბუღბუღლებივით გზას გასცქერიან და თვალში ცრემლ გამშრალნი მაინც ელიან, ელიან და „უსაზღვროა მათი მოლოდინი!“ ...

ზინა კვერენჩხილაძე

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ამბობენ სიბერემდე სიქაჩლეო – ამბობენ კი არა ასე ყოფილა, რომ მეგონა ჩემს საყვარელ თეატრში ხანდაზმულობის გამო სამუშაო ამომეწურა მეთქი, არც ასე ყოფილა საქმე. თურმე არსებობენ ადამიანები, რომლებსაც თეატრში დეაწლმოსილი არტისტებიც ახსოვთ. პირველ რიგში ვგულისხმობ დრამატურგს რონალდ ჰარვუდს, რომელმაც დაწერა პიესა „კვარტეტი“, შემდეგ ვინც მოიფიქრა ამ პროექტის ჩვენს თეატრში მოტანა და რა თქმა უნდა რეჟისორს. მართალი გითხრათ, როდესაც გოჩა კაპანაძემ ამ პიესაში როლი შემომთავაზა ცოტა არ იყოს შევშინდი, რადგან ყველას უამრავი ტექსტი გვქონდა დასამახსოვრებელი, მაგრამ იმდენად დიდი იყო მონატრებულ სცენაზე გასვლის სურვილი, რომ ეს შიში დავძლიე. დაინიშნა მონაწილეთა შეკრების პირველი დღე, დიდი ხნის პაუზის შემდეგ თავი მოვიყარეთ: ყველა თაობის ახალგაზრდა, უნიჭიერესმა და ულამაზესმა ქალბატონმა მედია ჩახავამ, ზინა კვერენჩხილაძემ, ზაზა ლებანიძემ, მარინა კახიანმა, მარინა ჯანაშიამ, რაინდებიდან გურამ საღარაძემ, კარლო საკანდელიძემ და კახი კავსაძემ. დამეთანხმებით ამ შემადგენლობასთან ერთად რეპეტიციაზე ყოფნას

აღბათ ნებისმიერი მსახიობი ინატრებდა. გონა ბავშვივით გვივლიდა, ყოველ რეპეტიციაზე ახალი შოკოლადის კოლოფები იხსნებოდა, რომლითაც ნიკა წულუკიძე გვანებივრებდა, ასევე სულ ჩვენთან იყო მანანა გეგეჭკორი და მთელი შემოქმედებითი ჯგუფი, რომელსაც უდიდეს მადლობას ვუხდი.

ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ჩვენმა საყვარელმა კარლომ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო პრემიერის თამაში, არადა როლი შესანიშნავად ჰქონდა მომზადებული. გონა კაპანაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კარლოს როლზე არავინ არ შეიყვანა, ვიმედოვნებ უახლოეს მომავალში ჩვენი კარლუშა გამომჯობინდება და კვლავ ითამაშებს. ამ ჩემს პატარა წერილს კი ჩემი მონოლოგის ფრაზით დავამთავრებ: „მართალია საშინელი პროფესიაა მსახიობობა, მაგრამ ხომ ხედავთ მაინც ვერ ველევით სცენას, ვერ გელევით თქვენ, ვდგავართ თქვენს წინაშე მოხუცი ხალხი და ვჯამბაზობთ. დიახ ვჯამბაზობდით, ვჯამბაზობთ და კვლავაც ვიჯამბაზობთ!“

ჯემალ ლაღანიძე

მონატრებული ვიყავი მუშაობას, რეპეტიციებს როცა გონამ შეგვკრიბა და თავისი იდია გაგვაცნო: „მოხუცი ჯამბაზები“, სცენას მონატრებული არტისტები და მათი ისტორიები...

მე და ჩემი დიდიხნის მეგობრები, კოლეგები, ისევ ერთად ავდიოდით სცენაზე, ჩვენი საყვარელი თეატრის სცენაზე და ვთამაშობდით ჩვენი საყვარელი მაყურებლისთვის... ამაზე დიდი სიხარული რა გინდა? დიდი მონდომებით შევუდექი მუშაობას, დიდ სიამოვნებას მანიჭებდა რეპეტიციები ჩემს ძველ პარტნიორებთან ერთად - მედიკო, ზინა, გურამი, ჯემალი, ზაზა, კახი, ჩვენი მარინები. მე საერთო სცენები ჩემს ზაზა ლებანიძესთან მქონდა, ყოველთვის ვაფასებდი მის ნიჭს და მსიამოვნებდა მასთან პარტნიორობა.

სულ ვფიქრობდი საბოლოო რეზულტატზე, თავს ბოლომდე დარწმუნებულად ვერ ვგრძნობდი ჩემი ჯანმრთელობის გამო და მართლაც ავადმყოფობამ თავი შემახსენა. სამწუხაროდ რეპეტიციებზე სიარული შევწყვიტე, არადა პრემიერამდე არც ისე ბევრი იყო დარჩენილი... ჩემი

რეჟისორი მირეკავდა, მამხნევებდა, უშენოდ არ ვითამაშებთო, სავარძელში დაგაბრძანებ და როლს შეგიმსუბუქებო... მაგრამ მე აღარ გავრისკე. შემეშინდა სპექტაკლისთვის ხელი არ შემეშალა. და როცა პრემიერა შედგა და „მოსუცმა ჯამბაზებმა“ მაყურებელთა გულები დაიპყრეს, მეც მათთან ერთად ვხარობდი, ოღონდ პარტყერიდან... და გამოგიტყდებით ცოტა გული კი მწყდებოდა...

კარლო საკანდელიძე

ერთ მშვენიერ დღეს მხვდება გოჩა კაპანაძე და მეუბნება ბატონო კახი ჰარეულის „კვარტეტს“ ვღვაკ და მინდა დაგაკავოთო. მე ამ პიესაში უკვე ნათამაშები მქონდა მოსკოვში, გალინა ვიშნევსკაიას მუსიკალურ ცენტრში და ვიცოდი მისი შინაარსი. მიუხედავად დიდი სურვილისა, რომ კვლავ გამოვსულიყავი სცენაზე უარი განვუცხადე გოჩას, რადგანაც სულ ახალი გაკეთებული მქონდა საკმაოდ რთული ოპერაცია. გოჩა არ მომეშვა და მითხრა დიდი დატვირთვა არ გექნებათ, რაც გინდა იმას გააკეთებთ, სადაც გინდა შემოხვალთ და რასაც გინდა იმას იტყვიო... ამ წინადადებამ მომხიბლა და დავთანხმდი. დაიწყო რეპეტიციები, ჩემი პერსონაჟიც გზადაგზა იქმნებოდა და იწერებოდა ტექსტი. მე ვთვლი რომ ამ სპექტაკლით გოჩამ უდიდესი აღიარება მოიპოვა და მასთან ერთად მეც გამარჯვებული დავრჩი. ჩემს თეატრალურ შემოქმედებაში ამ სახეს ერთერთი გამორჩეული ადგილი უკავია, რისთვისაც უდიდეს მადლობას მოვასხენებ გოჩა კაპანაძეს. ისე ნათქვამია უშეცდომო კაცი არ არსებობსო და გოჩამაც დაუშვა ერთი შეცდომა, გენერალურ რეპეტიციაზე რატომღაც თანმიმდევრობა ამერია და გაცეცხლებული რეჟისორი ამოვარდა სცენაზე მიზანსცენა ჩემს მაგივრად ითამაშა, თან დასძინა რა უნდა ამის გაკეთებას, ღმერთო რა შეგცოდნე ამის ფასი ეს ვისთან მაქვს საქმეო... ეს იყო და ეს, ამის მეტი ჩვენ კონფლიქტი აღარ მოგვსლია, რომ ამბობენ „ადამიანი შეცდომებზე სწავლობსო“, ეტყობა მართალია. ეს ხუმრობით. დიდი მადლობა ყველას მთელს შემოქმედებით ჯგუფს ამ დიდი სიხარულისთვის.

კახი კავსაძე

რაც არასოდეს დამავიწყდება

იყო ის მშვიდი და თავისუფალი გარემო, რომელშიც მოვხვდი, როცა არ გეზარება რეპეტიციაზე წასვლა, როცა რეპეტიციაზე ხელებს არ გიკაკუნებენ, რაც ძალიან იშვიათია და ეს რეჟისორ გოჩა კაპანაძის დამსახურებაა.

არა მგონია ამ პიესით აღფრთოვანებული იყოს ვინმე და არც მე ვარ გამონაკლისი. თუმცა მემგონი ჩვენ პიესის მთავარ თემას გადაეუხვიეთ, რომელიც არც ისე ცუდი გამოვიდოდა, შეიძლება უკეთესიც, თუმცა რაც გამოვიდა, ძალიან საინტერესოა!

მომეწყინება მათ გარეშე, ვისთანაც რამდენიმე თვე გავატარე მშვიდ გარემოში, ბორკილების გარეშე. მომეწყინება, მაგრამ ადამიანი ხომ ყველაფერს ეჩვევა! ... და მაინც მსახიობობას რეჟისორობა სჯობს. მადლობა ყველას.

ზაზა ლებანიძე

„მოხუცი ჯამბაზები“ – ჩემთვის ეს ორი სიტყვა, ეს ორი საოცარი სიტყვა, მხოლოდ სპექტაკლის სათაური არ არის. ჩემთვის ეს სიტყვები ჯადოსნობის მაგიის ტოლფასად გადაიქცა, რომელმაც ჩემი ცხოვრების, გონების, სხეულის ყოველი უჯრედი ამოავსო, გააღამაზა და ცხოვრების წესად გადამიქცია. დიას „მოხუცი ჯამბაზები“ ჩემი ცხოვრება გახდა, რადგან ის რვა თვე, რომელიც თითქმის სრულყოფილი ბავშვის, ახალი სიცოცხლის დაბადების პერიოდია, ჩემთვისაც ახალ სიცოცხლედ იქცა. მე მიყვარს ეს დრო, ყოველი საათი, ყოველი წუთი და წამი, რომელმაც მე ახალ ცხოვრებას მაზიარა. რასაც ამ წუთას ვფიქრობ შესაძლოა ეს ვიღაცას ღირიკად მოეჩვენოს, მაგრამ გარწმუნებთ ღირიკა ცუდი სიტყვა არ არის – ეს მშვენიერებაა, ბედნიერებაა!

ჩემთვის ყოველი რეპეტიცია, ყოველი დღე იყო ღვთის საჩუქარი, რადგანაც ამ არაჩვეულებრივ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა.

ჩემთვის ყოველი რეპეტიცია, ყოველი დღე იყო სასწაული, რადგან ჩემს თვალწინ, იშლებოდა წიგნი, სახელმძღვანელო, საიდანაც შენი პროფესია უნდა ისწავლო და შეიგრძნო იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომელიც ასე მიყვარს: ადამიანობა, ღირსება, სიკეთე, კაცთმოყვარეობა!...

დიდი მადლობა ყოველივე ამისთვის ჩემო ძვირფასო „მოსუცი ჯამბაზებო“, დიდი მადლობა დღესასწაულისათვის ჩემო არაჩვეულებრივო ადამიანო, ჩემო გოჩა! მიყვარხართ გეთაყვანებით, მეამაყებით ჩემო ძვირფასებო!

მარინა ჯანაშია

ღიახ ეს ის ადამიანები არიან, ის პიროვნებები, ის დიდი არტისტები, რომელთა არსებობითაც, სცენაზე დაიბადნენ სხვა მსახიობები, მთელი თაობები. ღიახ მათ გაგვინათეს გზა და გვასწავლეს ცხოვრება სცენაზე და რეალურ ცხოვრებაში. მე უზომოდ მადლიერი ვარ ჩემი ბედისწერის, რომ დღეს მათ გვერდით ვდგავარ, მშობლიურ სცენაზე. მათთან ერთად ვცდილობ შევქმნათ ის ჯადოსნური სამყარო, რასაც თეატრი ჰქვია. ამდენ ჩემს საყვარელ არტისტებთან სცენაზე თანაარსებობისათვის უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა გოჩა კაპანაძეს, რომელმაც მომცა საშუალება ვყოფილიყავი ამ დიდი მსახიობების პარტნიორი, მადლობა ყოველი რეპეტიციისთვის. ყველა რეპეტიცია ხომ განუმეორებელი და დაუვიწყარი იყო.

„მოსუცი ჯამბაზები“, რამდენს შეიცავს ეს ორი სიტყვა. რამდენ სიხარულს, ტკივილს, აღმაფრენას, უძილო ღამეებს, იმედგაცრუებას, მაგრამ ყველაზე ღიადს ამ სამყაროში სიყვარულს, ღიახ უკიდევანო სიყვარულს... ჩვენ ხომ ჯამბაზები ვართ, ვცდილობთ გაგართოთ ცხოვრებით დაღლილი ადამიანები, ვატიროთ, ვაცინოთ, დავაფიქროთ და ხანდახან შევცვალოთ კიდეც, და თუ ამას კარგად ვახერხებთ ისინი მადლიერებას გამოხატავენ, ორ ხელს ერთმანეთ ურტყავენ და ხმას გამოსცემენ, ჩვენთვის კი ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, აღარ გვახსოვს აღარც დაღლა, აღარც პრობლემები, არაფერი... ჯამბაზებისთვის ასაკი ხომ არარსებობს, ჩვენ მუდმივი ბავშვები ვართ და მე ბედნიერი ვარ რომ ეს გზა ავირჩიე ოდესღაც...

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დავიწყე ფიქრი რა იყო ჩემთვის „ჯამბაზებთან“ მუშაობა... ერთი სიტყვით შემიძლია ვთქვა, რომ ბელი მქონია, რადგან ცხრა თვის განმავლობაში ვმუშაობდი ყველაზე ნიჭიერ არტისტებთან. იმ თაობასთან, რომლებიც დღეს უკვე ქართული თეატრის ლეგენდები არიან. ალბათ ესეც ბედისწერა იყო. მე ჯერ კიდევ ვერ ვაანალიზებ რა მოხდა ამ სპექტაკლზე, ჩვენ არც დასაწყისში და არც შემდეგ არ გვიფიქრია, რომ რაღაც დიდ და უნიკალურ სპექტაკლს ვაკეთებდით, ჩვენ ვთამაშობდით ჩვეულებრივად, როგორც ყველა სპექტაკლის დროს. იყო სამაგიდო პროცესი, შემდეგ სცენიური რეპეტიციები, სუფევდა სამუშაო სიტუაცია, ჩხუბით, გაუგებრობებით, გაბუტვებით, შერიგებებით და სხვა... მადლობა მინდა გადავუხადო ყველას მხატვარს ანა ნინუას, სცენიური ვარიანტის ერთ-ერთ თანაავტორს მანანა გეგეჭკორს, გრიმიორებს, ჩამცმელებს, რადისტს, გამნათებელს, სცენის მუშებს და რა თქმა უნდა ჯამბაზებს ჩემი გაძლებისთვის, რადგან როგორც ბატონი კახი კავსაძე ამბობს ხოლმე, მე ძალიან „მურტალი“ ხასიათი მაქვს...

გონა კაპანაძე

მრავალი დღესასწაულის მომსწრე თეატრს, კიდევ ერთი დღესასწაული შეემატა, სპექტაკლ „მოხუცი ჯამბაზების“ სახით. ეს იმ თაობის მსახიობთა უდიდესი გამარჯვებაა, რომლებიც რუსთაველის თეატრის ღირსეული მემკვიდრეები არიან.

ზაალ ჩიქობავა

„იშვიათად მინახავს ისეთი სპექტაკლი სადაც ამდენი სცენის ოსტატი შეჯიბრებოდა ერთმანეთს და ყველანი გამარჯვებულნი გამოსულიყვნენ. თითოეულ მათგანს თავისი შიდა მონოსპექტაკლი აქვს, მეუფეა თავის სცენისა, მაგრამ იმავდროულად ერთი მთლიანი მხატვრული გადაწყვეტის ნაწილია. სცენაზე ქმნიან ანსამბლს, მაგრამ რჩებიან კონფლიქტებით დაღლილ ინდივიდუალისტებად. თავშესაფარში თეატრის ნოსტალგიის სენით არიან შეპყრობილნი, მაგრამ ერთნაირი შთაგონებით ებრძვიან სიბერესაც და მოგონებებთან გამოთხოვების აჩრდილსაც.

მე ვლაპარაკობ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დადგმულ დიდ სპექტაკლზე, რომელსაც ზუსტად შერჩეული სახელი აქვს „მოხუცი ჯამბაზები“.

დიდი ხანია თეატრიდან ასე გახარებული არ წამოვსულვარ. ქართული არტიზმის ნამდვილი ზეიმი იყო. ამ სიხარულისთვის დიდი მადლობა იდეის ავტორს და რეჟისორს გოჩა კაპანაძეს. დიდი მადლობა მედია ჩახავას (ელისო), ზინა კვერენჩილაძეს (თამარი), ზაზა ლებანიძეს (ლოლა), მარინა ჯანაშიას (ნინა), მარინა კახიანს (აღექსანდრა), გურამ საღარაძეს (გრიგოლი), ჯემალ დაღანიძეს (შალვა), კახი კავსაძეს (ქაიხოსრო), თითოეული მათგანის შესრულება ცალკე წერილის ღირსია, მაგრამ მათ მადლობას ვუხდი იმისათვის, რომ ყოველმა მათგანმა თავისი განვლილი შემოქმედებითი გზა გამახსენა, რომელმაც ჩემს თვალწინ გაიარა და ვიგრძენი, რომ ისინი ჩემი ცხოვრების ნაწილებად ქცეულან. ასევე მეგონა როცა სპექტაკლს ვუყურებდი, რომ ისინი მსახიობის ოსტატობის გაკვეთილებს უტარებდნენ ახალ თეატრსა და ახალ თაობებს. პირდაპირ ვარსკვლავოცვენა იყო სცენაზე, როცა ვუყურებდი „მოხუცი ჯამბაზებს“ თუ როგორ გადიოდნენ ბეწვის ხიდზე სიხარულთან ერთად მეუფლებოდა სევდაც, როგორც მზის ჩასვლის წინ, როცა მშვენიერ სანახაობას ვეთხოვებით. . .

ეს არ არის ნოსტალგია ძველ თეატრზე, რადგან „მოხუცი ჯამბაზების“ ხელოვნება უადრესად თანამედროვეა. სიცოცხლით

სავსე თეატრია. აქ ყველაფერი თანამედროვეა, გამოსახვის ფორმებიც და დიდი ადამიანური ტკივილიც, გაუცხოების საშინელმა საუკუნემ რომ თავს დაგვახვია. მარტოობის სევდით დაღდასმული მოხუცი არტისტები წყლის ნაპირზე ახლად გამოყრილი თევზებივით ფართხალებენ... სევდის მომგვრელია მათი გაბრძოლება და შვილებისგან მიტოვებულობის მოტივიც. თითქოს ყურში ჩამესმა დავით კლდიაშვილის „უბედურების“ გმირის, შვილებისგან მიტოვებული ამირანის სიტყვები: „რა ქნას ჩემი ხნის ადამიანმა ა...? თუ არ შემიძლია, არავინ უნდა მომხედოს?“ შვილებისგან მიტოვებული მშობლების მარტოობა და ეკონომიური სიდუხჭირე, მაშინ ვიწრო მასშტაბში იზომებოდა. კლდიაშვილის გმირები სოფლიდან ისევ საქართველოს ქალაქებში მიდიოდნენ და ეს დიდ სოციალურ ტრაგედიად განიცდებოდა. ჰუმანისტია მწერალი დავით კლდიაშვილი. „უბედურების“ დადგმის დროს იჯდა და ცრემლებს ღვრიდა, დიდი მწერალი გრძნობდა, რომ იწყებოდა დიდი უბედურება. ნელ-ნელა იცლებოდა სოფლები, მაგრამ მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა თუ რა მასშტაბს შეიძენდა ეს პროცესი, როცა საქართველოდან უცხო მხარეში წასასვლელად ათასობით ახალგაზრდა დაიძვრებოდა.

გოჩა კაპანაძის სპექტაკლში თითქოს მეორე ფლანგზეა, მაგრამ არსებითად ლაიტმოტივად გასდევს მიტოვებული მოხუცების პრობლემა, რომელიც აერთიანებს მრავალ ადამიანს. ეს არის ადამიანის ბედზე ფიქრი პიროვნებისა და საზოგადოების, პიროვნებისა და სახელმწიფოს მარტოობის უნივერსალური პრობლემებისა.

სცენაზე იკვეთება პიროვნული თუ პროფესიული კონფლიქტები, რომლებიც იცვლება ლირიკული განწყობილებებით. აღსარებასავით ისმის თითოეული მსახიობის მონოლოგი.

ქართულ თეატრში იყო შემთხვევა, როცა გიგა ლორთქიფანიძემ სახელოვანი „მოხუცი ჯამბაზები“ ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი გამოიყვანა ალექსანდრე სუმბათაშვილის „დალატში“ მაშინ ჩვენ ეს დიდ მოვლენად მივიჩნიეთ, რადგან რეჟისორის კეთილშობილური ექსტიც იყო და „ძველ თაობასთან“ თავისებური გამოთხოვებაც. ეს მოხდა 1966 წელს. მას შემდეგ

გავიდა ორმოცდაორი წელი და გოჩა კაპანაძემ უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარა, როცა სცენაზე მარინა კახიანის გარდა შვიდი მსახიობის საშუალო ასაკი სამოცდათხუთმეტი წელია. აკაკი ხორავა კი მაშინ სამოცდათერთმეტი წლისა იყო, ვერიკო სამოცდაექვსისა, გოდიაშვილი სამოცდაერთისა. მედია ჩახავას ასაკის ადამიანის სცენაზე გამოსვლას პრეცედენტი არ ჰყავს ქართული თეატრის მთელს ისტორიაში. გოჩა კაპანაძის სპექტაკლის მნიშვნელობა მარტო ის კი არ არის, რომ წელთა დაღმართ დაშვებულ მსახიობებს ერთად მოუყარა თავი, არამედ ისინი გააერთიანა შემოქმედებითი მიზნებით, ენერგიით, სიცოცხლის სიხარულითა და მაღალი კლასის ოსტატობით.

რეჟისორი რვა თვე მუშაობდა დიდი მოთმინებითა და გატაცებით, ნელ-ნელა ქმნიდა წარმოდგენას, აერთიანებდა ინდივიდუალობით გამორჩეულ არტისტებს.

წარმოდგენა შედგა. ამიტომ ხალისიც დამეკარგა რაიმე შენიშვნები გავაკეთო, თუ რომელი სცენაა ტოტალიტარულად განსხვავებული და ზედმეტი. ყველაფერი ეს მეორე ხარისხოვანია, როცა მიღწეულია უმთავრესი – თეატრალური ზეიმი.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქართული, მარადუკვდავი არტისტული გენია, რომელიც ყოველჟამს გვახსენებს ხოლმე თავს - „ჰოპლა ჩვენ, ვცოცხლობთ“.

ვასილ კიკნაძე

ჩადგმული სკამები

რომელია ეს სპექტაკლი, მაყურებელთა დარბაზში დამატებითი სკამების ჩადგმა რომ გახდა აუცილებელი ყველა მის წარმოდგენაზე? პროგრამაში ვკითხულობთ: რონალდ ჰარეუდის „მოხუცი ჯამბაზები“ სევდიანი კომედია ორ მოქმედებად. გადმოაქართულეს თამაზ გოდერძიშვილმა და სპექტაკლის დამდგმელმა გოჩა კაპანაძემ.

ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოების სათაურის დიდმნიშვნელობა ცნობილია, განა თვითონ სიტყვა სათაურიც ამას არ მოგვანიშნებს? მაშ, რატომ ჯამბაზები? ჯამბაზ სპარსული

სიტყვაა და თოკზე მოსიარულეს ნიშნავს. თოკზე სიარული ძალიან ძნელია და შეუძლია მხოლოდ დიდოსტატს. დრამატულ თეატრში თოკზე არ დადიან, ამიტომ ნათელია, რომ თოკზე მოსიარულე, დიდი სიათულის გადამლახავი ოსტატია ნაგულისხმევი.

რა სირთულეა როლანდ ჰარვუდის პიესის მოქმედ პირთა ცხოვრებაში? ასაკის, თანაც ხელოვნების იმ სახეობაში, სადაც ყველა შემოქმედისგან განსხვავებით, შემქმნელიცა და მისი ქმნილებაც ერთდროულადაა ერთ არსებაში, მსახიობში.

მოქმედ პირთა რაოდენობა რატომ ორჯერ მეტი, ვიდრე „კვარტეტში“? ალბათ, იმის საჩვენებლად, რომ ასეთი დიდოსტატები ქართულ თეატრში დღესაც ბევრნი არიან.

სად მიმდინარეობს ამ ოსტატების ცხოვრება? დედანშიც და ქართულ ვარიანტშიც, ხელოვან მოხუცთა თავშესაფარში. რომელია ის „თოკი“ რომელზეც მათ სურთ გაიარონ ასაკობრივ სირთულეთა მიუხედავად? რატომ გონიათ რომ შეძლებენ? ყველაზე კარგად ხომ მათთვისაა ცნობილი საკუთარ ფიზიკურ ძალთა მარაგი? ამის მიუხედავად, სწამთ, რომ სულია ყველაფერზე უძლიერესი და გრძნობენ, რომ დღეს მაყურებელს ენატრება ხილვა სულის ძლიერებისა. არც შემცდარან, ამის საბუთი ყოველ მომდევნო წარმოდგენაზე დარბაზში ჩადგმული, დამატებულ სკამთა მზარდი რაოდენობაა და განსაცვიფრებელი კონტაქტი სცენასა და დარბაზს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე არც ტახტისთვის ბრძოლაა, არც მიჯნურობა, არც კარგად გააზრებული სიუჟეტური მიმოქცევები. ასეთი კონტაქტი იბადება მხოლოდ მაშინ, როცა თეატრი მაყურებელს აწვდის იმას, რაც მას ძალიან სჭირდება. დღევანდელი მაყურებლისთვის ასეთია სულის საზრდო, რადგან ძლიერი სული შეუძლებელს შეგაძლებინებს.

საკმარისია ამ სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა ვინაობას გაეცნო: კახი კავსაძე, ზინა კვერენჩხილაძე, ზაზა ლებანიძე, გურამ სალარაძე, ჯემალ ლაღანიძე, მედეა ჩახავა, მარინა ჯანაშია და მარინა კახიანი, რომ ნათელი გახდეს ამ სპექტაკლის სიცოცხლისუნარიანობა.

დღეს ვფიქრობ, მთავარი ის არის, რომ ქართულ თეატრში დაიბადა წარმოდგენა, რომელიც ძალიან სჭირდება მაყურებელს,

ჩვენი დროის ადამიანებს მოენატრათ სულიერება. სულიერების მონატრება დიდი იმედია სამომავლოდ, რადგან მხოლოდ სულით ძლიერებს შესწევთ ქვეყნის ცხოვრების სასიკეთოდ წარმართვის ძალა.

ნათელა ურუშაძე

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!...

ანუ

მობურთაღსა მოედანი

ეს სანახაობა რეკვიემი არ არის. ამ საინტერესო ნაამბობით დროდადრო სცენაზე ისეთი სიხალისე და არტისტული გამონათება გაიფლავებს, რომ მაყურებელთა დარბაზს შეატორტმანებს გულის სიღრმიდან აღმომსკდარი ნეტარება, ღიმილად, სიცილად, ოვაციად, აღტაცებად მოედინება სცენისაკენ მოყვარულ და მადლიერ მაყურებელთა ვნებათაღელვა. ისინი შესტრფიან თავიანთ რჩეულ არტისტებს, რომელთა მხრებზეც არის წამომართული რუსთაველის თეატრის სახელოვანი ისტორია. ამ საამაყო ბიოგრაფიის ერთ-ერთ შემქმნელთა შემართებად აღვიქვი ეს ომახიანი შეძახილი – „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!...“

მიუხედავად იმისა რომ მიმქრალი სცენა მოხუცი ჯამბაზების ნაღვლიან ამბავს გვიამბობს, თეატრი მათი შეცოდებისათვის არ გიხმობს. დიას, მათ იუმორითა და ხალისით შეგვახსენეს – ცოცხლები ვართო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გულითადი განდობით ისიც დაგვანახეს: ისინი არა მარტო ცოცხლობენ, არამედ თურმე შემოქმედებითად არარეალიზებულნი ყოფილან! და თუ თანამედროვე სამყაროს უმთავრეს დილემად მივიჩნევთ, რომ არც ერთი ადამიანი არ განერიდოს ამ წუთისოფელს უფლისაგან, მასში მომადლებული უნარის სრული რეალიზების გარეშე, მაშინ დამდგმელი გუნდის პოზიცია სწორედაც, რომ დროული და მეტად მნიშვნელოვანია.

ეს სანახაობა არც პასტორალი არ არის. ერთი შეხედვით ბუკოლიკურ სიმშვიდეში ისეთი ვნებათაღელვა და არტისტული მგზნებარებაა ჩახლართული რომ სულს გიფორიაქებს და ცხოვრების მარადიულ დილემზე ჩაგაფიქრებს, ასე მიამიტად კრძალვითა და სევდით რომ აღმოთქვებს პერსონაჟებმა: „ნუ შემახვედრებ ჩემს სიბერეს!“ „აუცილებელია რომ ვბერდებით?“ „არ შეიძლება რომ არ ვბერდებოდეთ?“ და... ყველაზე დიდ სატკივართან შეგუების პერსპექტივა! მოხუცთა თავშესაფარში აღმოჩენილი საოპერო მომღერლების სევდიანი რეფრენი: „ჩვენ უნდა შევეჩვიოთ უთეატროდ ცხოვრებას!...“ ეს არის მათი უსაშველო შეჭირვება, გულის ჭიდილი უსახურ სინამდვილესთან, ეს პერსპექტივაა მათი ყველაზე გაუსაძლისი სატკივარი, სულს რომ გიყინავს და მაინც ბინდოში მიიპარები იქ, თეატრში, გაურანდავ იატაკს ეამბორები, რომ კვლავ შეიგრძნო შენი წინაპრების, შენი და შენი თაობის და მერე სხვათა ნაფეხურების სიმხურვალე და კიდევ ერთხელ იწამო მარადიული ხიბლი სცენისა, რამპის შუქით განათებული ცარიელი სივრცისა...

ამ წარმოდგენამ არა მარტო ჩვენი ყოფის უბედურებაზე კიდევ ერთხელ დამაფიქრა, არამედ უწინარესად, ჩამაფიქრა თეატრზე, მის პერსპექტივაზეც, მსახიობთა ხვედრზეც. ინტელექტუალური თეატრის წიადიდან იშვა ეს სანახაობა, ნიჭიერი ოსტატების ეს „სახეიმო მარში“ რუსთაველელთა მოღერნული პოლიტიკური თეატრის ძიებათა რკალში, თითქოს ვერც თავსდება ეს დადგმა. მაყურებელი მიეჩვია და მოწონს კიდევ ამ სცენის რეპუსების, ძალზე ტევადი მინიშნებების, ქვეტექსტის, ქვეტექსტების ასოციაციური ნაკადის ამოცნობა, დაშიფრული სათეატრო ტექსტის ამოკითხვა. რუსთაველის თეატრის მაღალი რანგის კულტურამ, რეჟისორულმა გამომგონებლობამ, აქტიორულმა მიგნებებმა შექმნეს თავისი მაყურებელიც, დაამკვიდრეს კონცეპტუალური რეჟისორული თეატრის ხელოვნება და დაუმკვიდრეს ამ სცენას მსოფლიოდს გამორჩეული თეატრის სტატუსი. ისიც ფაქტია, რომ ახლა რუსთაველის თეატრი ახალი ფერიცვალების წინაშე იმყოფება. შესაძლოა, ამჟამად თავად საშემსრულებლო კულტურის, მსახიობის გამოსახვის ფორმათა თაობაზე თვალთახედვის ცვლილებათა

დროება დადგა. შესაძლოა, მაშველი რგოლიც ამან გააჩინა ავანსცენაზე. ზუსტად ვერ ვიტყვი, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ... მობურთაღსა მოედანიო – უთქვამს ბრძენ პოეტს.

ნათელა არველაძე

„მოხუცი ჯამბაზები“ მნიშვნელოვანი მოვლენაა თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში. უპირველესად მადლობა მინდა გადავუხადო რეჟისორ გოჩა კაპანაძეს, რომელმაც მოგვცა საშუალება კიდევ ერთხელ გვეხილა დღესასწაული სცენაზე, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ გვეყავს დიდებული მსახიობები, რომელთაც ძალუძთ სცენაზე შექმნან ბრწყინვალე სახეები. თეატრში დღესასწაულს კარგა ხანია მოკლებულია ჩვენი მაყურებელი, თავისი საყვარელი მსახიობების ხილვაც დიდი ხანია ენატრებათ. სწორედ ამიტომაც „მოხუცი ჯამბაზები“ მნიშვნელოვანი სპექტაკლში ძნელია გამოყო რომელიმე მსახიობი, ყველა მათგანი საოცარი ოსტატობით ასრულებს როლს. ეს ქართული სამსახიობო სკოლისა და თითოეული მათგანის დიდი გამარჯვებაა. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნიჭსა და ოსტატობას ასაკი არა აქვს. მედეა ჩახავას, ზინაიდა კვერენჩხილაძეს, ზაზა ღებანიძეს, გურამ საღარაძეს, კახი კავსაძეს, ჯემალ დაღანიძეს ტოლს არ უდებენ მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი... სპექტაკლში თითოეულმა მათგანმა შექმნა გამორჩეული სახე, ერთ-ერთი საუკეთესო მათ შემოქმედებით ბიოგრაფიაში. უდიდესი ოსტატობით, საოცარი ზომიერებით ასრულებენ ყველა სცენას, საოცრად მსუბუქად, შინაგანად გამართლებულად გადადიან კომედიურიდან სევდიან ან სულაც ტრაგიკულ ჟღერადობაზე. ამდენი აქტიორული წარმატება ერთ სპექტაკლში დიდი იშვიათობაა.

იმედია სხვა რეჟისორებსაც გაუჩნდებათ სურვილი ეს დიდებული მსახიობები ათამაშონ სცენაზე და მაყურებელი კვლავ გახდება თეატრალური დღესასწაულის თანამონაწილე.

გულიკო ჯავაშვილი

რონალდ ჰარვუდის მსოფლიოში ცნობილი ნაწარმოები „კვარტეტი“ ეგრედწოდებულ „საბენეფისო“ პიესადაა მიჩნეული, თანაც არა ერთი არამედ ოთხი ბენეფიციანტი მსახიობისათვის. ალბათ უმთავრესად ამიტომაცაა იგი ესოდენ პოპულარული. მარტო რუსეთში უკანასკნელ წლებში „კვარტეტის“ ორი გახმაურებული დადგმა განხორციელდა: სანკტ-პეტერბურგის გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში რეჟისორმა ნიკალაი პინიგინმა დადგა ეს პიესა, სახელგანთქმულ მსახიობთა: ალის ფრეინდლიხის, ოლეგ ბასილაშვილის, კირილ ლავროვის და ზინაიდა შარკოს მონაწილეობით. რეჟისორ რომან მარხულიას მოსკოვის საერთაშორისო თეატრალურ პროექტში ცნობილ რუს აქტიორებთან – სვეტლანა კრუჩკოვასა და იგორ დიმიტრიევთან ერთად, პოპულარული პოლონელი მსახიობი ბარბარა ბრილსკა და შესანიშნავი ქართველი არტისტი კახი კავსაძე მონაწილეობდნენ.

ერთი წლის წინ კი რეჟისორი გოჩა კაპანაძე შეუდგა „კვარტეტის“ ქართული ვერსიის შექმნას რუსთაველის თეატრის სცენაზე. დიახ, სწორედ ქართული ვერსიისა. იმ დროისათვის პიესა უკვე გადმოაქართულა დრამატურგმა თამაზ გოდერძიშვილმა. თუმცა რეჟისორი ამით არ დაკმაყოფილდა. მან კვარტეტის ოქტეტად ქცევა გადაწყვიტა. საოპერო მომღერალთა ოთხეულს (მედეა ჩახავა, ზინა კვერენჩხილაძე, გურამ საღარაძე, ჯემალ ლაღანიძე), დრამის მსახიობთა ტრიო (ზაზა ლებანიძე, მარინა ჯანაშია, კახი კავსაძე) და ყოფილი ბალერინა (მარინა კახიანი) შემატა და ამგვარად „დააკომპლექტა“ ხანშიშესულ ხელოვანთა თავშესაფრის შემადგენლობა. ბუნებრივია, ლიტერატურულმა პირველწყარომ მნიშვნელოვნად იცვალა სახე. ეს მეტამორფოზა ხანგრძლივი სარეპეტიციო პროცესის განმავლობაში მიმდინარეობდა. რეჟისორის თხოვნით, ამ მეტად რთული, ამავე დროს, უაღრესად საინტერესო

და შრომატევადი სამუშაოს მონაწილე მეც გახლდით. ამიტომაც მიჭირს გარედან, ობიექტური თვალთ შევხედო სპექტაკლს, მითუმეტეს შევაფასი იგი. მხოლოდ ის შემიძლია მოგახსენოთ, რომ წარმოდგენაზე მუშაობის მანძილზე, მთელი არსებით შევიგრძენი და კიდევ ერთხელ გავაცნობიერე თეატრალური ხელოვნების არსი, მისი ბუნება, დიდ მსახიობთა ხელოვნება, შევიხედე მათი შემოქმედებითი „სამზარეულოს“ იდუმალ კუთხე-კუნჭულში.

„მოხუცი ჯამბაზების“ შექმნის პროცესი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ხანად შემიძლია ჩავთვალო, თუმცა იგი მხოლოდ უღრუბლო, ია-ვარდით მოფენილი და სიამტკბილობით აღსავსე სულაც არ იყო. ხანშიშესული, გამოცდილი მსახიობების, ქართული სცენის დიდებული ოსტატების შემოქმედებითი შეხვედრა, მართალია გამოცდილ, მაგრამ მათზე ბევრად ახალგაზრდა რეჟისორთან ადვილი არ აღმოჩნდა. კამათიც იყო, წყენაც, გაუგებრობაც, უფრო რთული კონფლიქტებიც, მაგრამ არცერთ მხარეს არ დაურღვევია ადამიანური თუ თეატრალური ეთიკის ის უმთავრესი ნორმები, რომელთა მიმართაც ერთგულებას მუდამ ინარჩუნებს რუსთაველის თეატრი. წილად მხვდა ბედნიერება თვალყური მედევნებინა იმისათვის, თუ როგორ თანდათანობით, ხან ადვილად, ხან კი რთულად, ცოცხლდებოდა სპექტაკლი, როგორ აცოცხლებდნენ თავიანთ გმირებს განსხვავებული ინდივიდუალობის მქონე მსახიობები. ზოგმა თავიდანვე „ჩაავლო“ ხასიათს, ზოგიერთი პერსონაჟის ბუნებამ უფრო გვიან „გაიღვიძა“. თანდათან გამოჩნდა თუ რა შემატა სპექტაკლს ანა ნინუას შექმნილმა სცენიურმა გარემომ და კოსტიუმებმა, კოტე ფურცელადის მიერ დადგმულმა ცეკვამ, გონა კაპანაძის შერჩეულმა კლასიკურმა საოპერო მუსიკამ, ზაზა ლებანიძის მიერ არაჩვეულებრივად შესრულებულმა სიმღერა-მონოლოგმა, რომელშიც ვფიქრობ მისი გმირისა და მთლიანად სპექტაკლის უდიდესი ტკივილია ჩადებული... და კიდევ მრავალი სხვა...

დიდი მადლობა მინდა ეუთხრა გონა კაპანაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს ბედნიერი თვეები მანუქა და კიდევ ერთხელ დამანახა, რა არის თეატრი!

რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე განხორციელებული „მოხუცი ჯამბაზები“ პარკუდის „კვარტეტის“ მეტად წარმატებული გამოყენებაა იმ მიზნისთვის, რაც რეჟისორს გონა კაპანაძეს ქონდა.

„მოხუცი ჯამბაზები“ (გადმოქართულებული თამაზ გოდერძიშვილის და გონა კაპანაძის მიერ) არის ბენეფისი, ოღონდ ერთდროულად რვა მსახიობისა. კახი კავსაძე, ზინა კვერენჩილაძე, ზაზა ლებანიძე, გურამ საღარაძე, ჯემალ დაღანიძე, მედეა ჩახავა, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი – აი, ვინ დგას სცენაზე სამი საათის განმავლობაში. მთელ დარბაზში ალბათ ძნელი მოსაძებნი იქნება ადამიანი, ვისაც ამ ვარსკვლავური კრებულის მიმართ აღტაცების, პატივისცემის, თაყვანისცემის გრძნობა არ დაეუფლება. წარმოდგენა იწყება თუ არა, სცენა და დარბაზი მაშინვე ერთმანეთის სიყვარულით ივსება (რა მშვენიერი და მონატრებული გრძნობაა!), რასაც უცნაური ნაღველი და სევდა ახლავს თან. ამ განცდას ზუსტად ესადაგება ზაზა ლებანიძის სიმღერა, რომელიც ბევრად მეტ ემოციას იტევს, ვიდრე გენიალური მომღერლების მიერ შესრულებული უკვდავი არია. ფიცარნაგზე გართხმული ზაზა ლებანიძე, თითქოს ყველას მაგივრად ეფერება სცენას, თუმცა მაყურებელი განსაკუთრებულ გულისტკივილს მის მიმართ განიცდის, რადგან იცის, რომ ამ უნიჭიერესმა ქალბატონმა სხვებისგან განსხვავებით, ვერ დახარჯა თავისი თავი სცენაზე. სხვადასხვა ქვეტექსტმა სპექტაკლის კამერტონის ფუნქცია მიანიჭა მის სიმღერას.

ბენეფისი თეატრის ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ გონა კაპანაძემ მას განსხვავებული სახე მისცა და პირობითად სპექტაკლის ფორმით გვიჩვენა. იწყება უცნაური შეჯიბრი. თითოეული არტისტი განუმეორებელია ოსტატობის მისეული არსენალით. პუბლიკა მათთან ერთად განიცდის, იცინის, ტირის, ტაშს უკრავს. როგორ უყვარს მაყურებელს ეს დიდი მსახიობები, მათი გულისთვის მოდიან თეატრში, მათი ნახვა სურთ. უცქერი მათ და გაცოცხლებული შენთვის აღმოაჩენ, რა უსასრულო

ყოფილა იმპროვიზაციის ხელოვნება, თურმე რა ბუნებრივი და მშვენიერი ყოფილა სცენაზე ყოფნა, რა სასიამოვნო თამაში, რა ფუფუნებაა კარგი პარტნიორი. რამდენი არაჩვეულებრივი არტისტი გვეყავს. თუ გვინდა, რომ ქართული თეატრი მუდმივ გავითარებასა და განახლებაში იმყოფებოდეს, მაშინ აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ ასეთ მსახიობებს, დიდ სკოლას, ნამდვილ ოსტატებს, რადგან სწორედ ისინი ფლობენ და მხოლოდ სცენაზე ყოფნის დროს გადასცემენ მომავალ თაობას იმ მარადიულ საიდუმლოს, რომელიც თეატრს ათასწლეულების მანძილზე აცოცხლებს. რასაკვირველია ასეც ხდება და ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ ეს ის ფიქრია, რომელიც „მოხუც ჯამბაზებს“ ახლავს.

მანანა ანთაძე

რეჟისორისა და მსახიობების დაბრუნება

რუსთაველის თეატრში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი დაიდგა. ახალგაზრდა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ სცენას და მონატრებულ მაყურებელს დაუბრუნა ქართული თეატრის ჭეშმარიტი ვარსკვლავები. მათ მაყურებელი იშვიათად, ან საერთოდ ვეღარ ხედავს არა მარტო მშობლიურ, რუსთაველის თეატრის, არამედ სხვა სცენებზეც. ზუსტად ამ პრობლემით დაიწყო სპექტაკლი რეჟისორმა და მსახიობებმა „მოხუცი ჯამბაზები“, რომელიც მცირე სცენაზე დაიდგა თანამედროვე ბრიტანელი დრამატურგის, რომანისტის და ხცენარისტის რონალდ ჰარვუდის პიესის „კვარტეტი“ მიხედვით. (პიესა გადმოაქართულეს თამაზ გოდერძიშვილმა და გოჩა კაპანაძემ). სპექტაკლში მონაწილე ყველა პერსონაჟი პროფესიაში პიროვნულ მდგომარეობასაც აპროტესტებენ, საქმე ეხება გენიოს რეჟისორს, რომელმაც ვარსკვლავებადქცეული მსახიობები ჩამოაშორა სცენას, ზაზა ლებანიძის გმირი ლოლა ნატრობს კიდევ, რა მოხდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს გენიოსი რეჟისორი და ცუდი ადამიანი იქცეს კარგ ადამიანად და ცუდ რეჟისორად... სატკივარი სპექტაკლის გმირებს

საერთო აქვთ. ისინი ღირსებაშეღასული და გულნატკენი არიან ოჯახის წევრებისა და საზოგადოების მათდამი უყურადღებობით, მათგან მხოლოდ ზინა კვერენხილაძის გმირი თამარი არ ეპუება შექმნილ მდგომარეობას და ძნელად თუ აცნობიერებს იმას, რომ მოხუცთა თავშესაფარის ბინადარია. იგი ისეთივე პატივმოყვარე დარჩა, როგორც ახალგაზრდობაში. განსხვავებული, ბუზღუნა მოხუცების ტიპაჟებს წაროგვიდგენენ გურამ საღარაძე (გრიშა) და კახი კავსაძე (ქაიხოსრო). მიამიტი და ნაკლებადმებრძოლი ქალის მხატვრულ სახეს ხატავს მედეა ჩახავა (ელისო). მისი ნამდვილი ანტიპოდია მარინე ჯანაშიას ნინა. ლად და კეთილსინდისიერ მსახიობს წარმოაჩენს ჯემალ ღაღანიძე (შალვა), ღირიკული პერსონაჟია მარინა კახიანის შურა, ტაშს იმსახურებს მისი საბალეტო ნომერი, რომელიც ზუსტად გამოხატავს პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას.

სპექტაკლში ერთმანეთის პარალელუარდ არსებობს სევდა და იუმორი. თითოეული მონოლოგი და ეპიზოდი ცალკე აღებული მონოსპექტაკლია, რის გამოც სერიალის მსგავსად სერიებივით ენაცვლება ერთმანეთს ეპიზოდები, მონოლოგები, რომელიც ფართოდაა გაჯერებული არა მხოლოდ ტექსტებით, არამედ ცეკვითა და სიმღერით. რეჟისორმა ამ ხერხით თითოეულ მონაწილეს საშუალება მისცა საკუთარი შესაძლებლობების ფართო წარმოჩენისა და მაყურებელს დაანახა ის თაობა მსახიობებისა, რომლებსაც თანაბარი სიძლიერით შეუძლიათ სიმღერაცა და ცეკვაც. სპექტაკლში კარგად ჩანს არა მხოლოდ პერსონაჟთა დღევანდელი მდგომარეობა, არამედ ის ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდნენ ერთ დროს სახელგანთქმული მომღერლები. მათი ხასიათები კი, ძირითადად მონოლოგებში იხსნება, რომელიც მაღალპროფესიულ დონეზე სრულდება.

მაყურებელი გულგრილი ვერ უყურებს ზაზა ლებანიძის მონოლოგს, როცა ის თეატრის სცენაზე შეიპარება, ასევე მაყურებლის მოწონებას იმსახურებს მის მიერ შესრულებული სიმღერა გიტარის თანხლებით, რომელიც საკონცერტო ნომრის მსგავსების მიუხედავად, სპექტაკლის მნიშვნელოვანი ნაწილია. გამოგონილი პერსონაჟია მარინე ჯანაშიას ნინა, კომუნისტი და რევოლუციონერი. მსახიობი მთელი სპექტაკლის მანძილზე თავდაუზოგავად მუშაობს, არ დუნდება. იგი როლშია მაშინაც, როცა

უკანა პლანზე დგას და მაყურებლის ყურადღება სხვისკენაა მიმართული. მ. ჯანაშიას შესრულებაში არც ერთი მომენტი არ არის ყალბი.

სპექტაკლის სცენოგრაფიის ავტორი ანა ნინუაა – თანამედროვეობის პერსპექტიული და უკვე გამოკვეთილი, თავისი სტილითა და ხელწერით, რომელიც კარგად იცნობს თანამედროვე მსოფლიოს თეატრალური მხატვრობის მიღწევებს. მან სამოქმედო სივრცე მთლიანად თეთრ ფერში გადაწყვიტა. სპექტაკლის გმირებიც ასეთივე უმანკოები არიან, თავისუფალნი ყოველგვარი ადამიანური უარყოფითი თვისებებისგან, მათ უყვართ ერთმანეთი და სწორედ ეს სიყვარული აძლებინებს მათ მოხუცთა თავშესაფარში. ისინი დიდ ბავშვებად ქცეულან, სწყინთ და მალევე ავიწყდებათ, მათ მხოლოდ ერთმანეთის იმედიღა შერჩენიათ. სხვათაშორის, პიესის სიუჟეტი ძალიან ჰგავს ოთარ ბაღათურიას „მეფე ლირი თავშესაფარში“ სიუჟეტს. თავად ბრიტანული პიესა გვარიანად სახეცვლილი იხილა ქართველმა მაყურებელმა, ამით კიდევ უფრო დაემსგავსა ეს ორი პიესა ერთმანეთს. თ. გოდერძიშვილმა და გ. კაპანაძემ ტექსტი არა მხოლოდ გადმოაქართულეს, არამედ მთლიანად მოარგეს ქართულ სინამდვილეს, უფრო მეტიც, დაამატეს პერსონაჟები და მათი რიცხვი ცხრამდე გაზარდეს.

გოჩა კაპანაძის ახალმა სპექტაკლმა მხატვრულ ღირსებებთან ერთად, ისტორიული მნიშვნელობაც შეიძინა. ჩემმა თაობამ ერთდოულად ნახა სცენაზე ზინა კვერენჩხილაძე, კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, მედეა ჩახავა, გურამ საღარაძე, ჯემალ ლაღანიძე, მარინა ჯანაშია, რომლებსაც მხოლოდ ფილმებით და კრიტიკოსთა გადმოცემებით ვიცნობდით. სცენას-მოწყვეტილი მსახიობები კვლავ სცენაზე დგანან და მონატრებულ მაყურებელთან ერთად, ახლებურ, ჯერ მიუხვეველ მაყურებელსაც ელიან.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში რუსთაველის თეატრის მცირე სცენა ახალი თეატრის დასაწყისად იქცა. რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ ზუსტად ამ სივრცეში თავის მეგობარ მსახიობებთან ერთად მნიშვნელოვანი სპექტაკლები: „მარიამ სტიუარტი“ და „ბერნარდა ალბას სახლი“ დადგა. მისასაღმებელი ფაქტია, რომ თავად რეჟისორიც დაუბრუნდა ამ სივრცეს. იმედია, მის სხვა განხორციელებულ პროექტებსაც ნახავს მაყურებელი ამ სცენაზე, მით უმეტეს, რომ იგი თავისი სპექტაკლით ორგანულად „ჯდება“ ამ თეატრის სივრცეში.

